კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ილია ოკმელაშვილი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჩადენილი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით

სამართალმცოდნეობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ალექსანდრე გიორგიძე

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტულურ საკუთრებას, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად შემუშავებულ ან ხარისხის დასაცავად წარდგენილ ნაშრომებს, იმგვარად რომ არ იყოს მითითებული ანდა ციტირებული, სათანადო წესების დაცვით.

ილია ოკმელაშვილი_____------/------/2019 წ.

გამოყენებული აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ.

ე.წ. - ეგრეთ წოდებული.

სხვ. - სხვა.

ე.ი. - ესე იგი.

სსრკ. - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

აშშ. - ამერიკის შეერთებული კავშირი.

სახ-ო. - სახელმწიფო.

საქ-ო. - საქართველო.

სსკ. - სისხლის სამართლის კოდექსი.

მისთ. - მისთანები.

მაგ. - მაგალითად.

გვ. - გვერდი

შსს. - შინაგან საქმეთა სამინისტრო

ანოტაცია

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის დანაშაულებრივი საქმიანობის განსაკუთრებული სახეობა. ფულის გათეთრების მსგავსი ქმედება, როგორც სოციალური მოვლენა, ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ დროში. მისი სამართლებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ძალზედ დიდია. გამომდინარე იქიდან, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სქემები, ძირითადად ტრანსნაციონალური ხასიათისაა, საქართველოც ერთ-ერთ მიმზიდველ ქვეყანად მიიჩნევა თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ფულის გამთეთრებლებისთის.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ნორმის სახით განისაზღვრა 2006 წელს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აქტიურად ჩაერთო ორგანიზებული დანაშაულის ამ მნიშნელოვანი სახეობის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში, რომლის აღსაკვეთადაც იყენებს საერთაშორისო გამოცდილებას.

სამაგისტრო ნაშრომში განვიხილავ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წარმომშობ და განმაპირობებელ ფაქტორებს, მისი საშიშროების მნიშვნელობას და გამოვიკვლევ აღნიშნული დანაშაულის იურიდიულ ბუნებას. ვინაიდან, სახელმწიფოს მიერ, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სწორი სტრატეგიის შემუშავება მნიშნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, ნაშრომის ფარგლებში მიმოვიხილავ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების გზებს და მეთოდებს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც უფრო თვალსაჩინოს გახდის საქართველოს სამართლებრივ მდგომარეობას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ბრძოლის საქმეში.

Ilia Okmelashvili

Legalization of illicit income by using the job condition

Annotation

Legalization of illicit income is a particular tyme of criminal activity. A similar act of money laundering as a social phenomenon was known in ancient times. Its legal and social significance is very large. Due to the fact that illicit income legalization shemes are mainly translational, Georgia is considered to be one of the most attractive countries in terms of its geopolitical situation, money laundering.

The legalization of illicit income as a criminal problem was defined as a norm in the Criminal Code of Georgia in 2006. Consequently, the state actively engaged in an unequal struggle against this significant species of organized crime, which exploits international experience.

In the master's work I will discuss the factors that generate and define the illicit income legalization, the importance of its hazard and the legal nature of the crime. Since the state is designed to develop a correct strategy for combating money laundering, it is an important step in the study of the ways to implement the legalization of illicit income and methods of performing official duties both in public and private sectors. The paper will present statistical data that will make it more visible to the legal situation in the fight against illegal legalization of illicit income.

Ilia Okmelashvili_____/-------/-------/2019

სარჩევი

შესავალი.....8

თავი I. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ზოგადი დახასიათება.....11

1.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი და მნიშვნელობა.....11

1.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) განვითარების ზოგადი ისტორია.....15

1.3 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ანტიკორუფციული პოლიტიკა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა (1921-1990) და თანამედროვე საქართველოში.....19

თავი II. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი შემადგენლობა.....27

2.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტური შემადგენლობა.....27

2.2 უკანონო შემოსავლის ობიექტური შემადგენლობა.....29

2.3 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების გზები და მეთოდები საერთაშორისო აქტებისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით.....33

თავი III. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სპეციალური ამსრულებელი.....36

3.1 მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი.....36

3.1.1 ქართული კანონმდებლობის მიხედვით.....37

3.1.2 საერთაშორისო აქტებისა და უცხოური კანონმდებლობის მიხედვით..39

3.2 კერძო სექტორში დასაქმებული პირი, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი.....41

3.2.1 ქართული კანონმდებლობის მიხედვით.....44

3.2.2 საერთაშორისო აქტებისა და უცხოური კანონმდებლობის მიხედვით..46

თავი IV. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი ტენდენციები.....48

4.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ფაზები.....48

4.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) მექანიზმები....51

4.2.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) მსოფლიო საბანკო და არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებში.....53

4.2.2 კორუმპირებული პირების როლი „ფულის გათეთრების“ სქემებში.....57

თავი V. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის გზები და მეთოდები...59

5.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის მექანიზმები სხვადასხვა ქვეყნებში.....59

5.2 სტატისტიკური მონაცემები და მათი ანალიზი.....63

დასკვნა.....67

გამოყენებული ლიტერატურა.....69

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივი პრობლემას, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და მისი ხელშემწყობი პირობების იდენტიფიცირების სირთულე წარმოადგენს. გამონაკლისი არც საქართველოა. გამომდინარე იქიდან რომ ფულის გათეთრების იურიდიული ბუნება, ძალზედ დიდია, საინტერესოა როგორ არეგულირებს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი კანონმდებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სტრუქტურას.

უკანონო გზებით მიღებული შემოსავლების დასამალად და შემდგომი რეალიზებისთვის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები, ჩვეულებრივ, იყენებენ სხვადასხვა არალეგალურ ფინანსურ მაქინაციებს. ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციებითავიანთი აქტივობების დასაფარად და გასამარტივებლად ან მართლმსაჯულების სისტემისაგან თავის ასარიდებლად, ხშირად იყენებენ საჭირო ძალაუფლების მქონე პირების მოქრთამვას, კორუფციულ საქმეში ჩაბმას. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ამ შემთხვევაში, კორუფცია არის არაკანონიერი ქმედების არა პირველადი მიზანი, არამედ საბოლოო სასურველი შედეგის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებულია ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი განსაკუთრებული კატეგორიის დანაშაული - უნანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რომელიც დეტალურად განმარტავს მისი ჩადენის გზებსა და მეთოდებს. მიუხედავად ამისა, ვთვლი რომ თითოეული პუნქტი საჭიროებს განმარტებას და შინაარსობრივ აღქმას. აღნიშნული მუხლი საქართველოს კანონმდებლობაში 2006 წლიდან გვხვდება, რაც იმაზე მეტყველებს რომ ამ პერიოდში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) მაშტაბებმა და ფარგლებმა საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი საქართველოში და აუცილებელი გახდა მისი, როგორც ორგანიზებული

დანაშაულებრივი საქმიანობის განსაკუთრებული საქმიანობის კრიმინალიზაცია კანონმდებლობაში მისი პირდაპირი განსაზღვრით.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) არამხოლოდ საქართველოს უქმნის დიდ პრობლემებს, არამედ მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოს აყენებს მნიშვნელოვან ზიანს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ ფულის გათეთრება პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობაზე. შესაბამისად, განსხვავებულია აღნიშნული პრობლემისადმი მიდგომაც - ცალკეული სახელმწიფოები არალეგალური კაპიტალის მიზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით ცდილობენ ეკონომიკური განვითარების დაფინანსების კანონიერი წყაროების არარსებობის ერთგვარ კომპენსირებას.

საკვლევი ნაშრომის მიზანი და ამოცანა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წარმომშობი და ხელშემწყობი პირობების გამოკვლევა, მათი სამართლებრივი შეფასება და შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სწორი და ხელმისაწვდომი რეკომენდაციების შემუშავება აღნიშნული დანაშაულის პრევენციისთვის. გარდა ამისა, ნაშრომის შესრულებისას მიმოვიხილავ სასამართლო პრაქტიკის მიდგომის სამართლებრივ მხარეს, მისი დასაბუთებულობის საფუძვლიანობას და შევადარებ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების სახეებს. ძირითადი აქცენტი გაკეთდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) შემთხვევებს, რომლებიც ჩადენილია სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით. აქ იგულისხმება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებული პირის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რომელიც განხორციელდა უშუალოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას და ამის დასაფარად, გამოყენებულია სამსახურეობრივი მდგომარეობა.

გამოყენებული კვლევის ადეკვატური მეთოდები.

ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია ისტორიული კვლევის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიმოვიხილავ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მოკლე და ზოგად ისტორიულ მხარეს, მისი წარმოშობის და განვითარების მოკლე რაკურსის გათვალისწინებით. გარდა ამისა, გამოყენებულია ლოგიკური კვლევის მეთოდი, შედარებითი კვლევის მეთოდი, დედუქციური და ინდუქციური კვლევის მეთოდები, სისტემური ანალიზის კვლევის მეთოდი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მეთოდების ფარგლებში ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატური მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობითაც თვალსაჩინო იქნება ნაშრომში განხილული თემის აქტუალურობა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე სადისერტაციო ნაშრომი. მათ შორისაა გიორგი შაშიაშვილის დისერტაცია სახელწოდებით „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლის სამართლებრივი პრობლემა“. ნაშრომი შესრულებულია 2015 წლის 30 იანვარს. ხელმძღვანელია გიორგი თოდრია, პროფესორი, სამართლის დოქტორი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი შინაარსობრივი კუთხით განსხვავებულია აქამდე შესრულებული ნაშრომებისაგან თავისი დამახასიათებელი ნიშნებით.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება ანოტაციისგან, რომელიც შესრულებულია ქართულ და ინგლისურ ენაზე, შესავლისგან, ხუთი თავისა და დასკვნისგან. ნაშრომს აქვს დანართი სტატისტიკური მონაცემების სახით.

თავი I

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ზოგადი დახასიათება

1.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი და მნიშვნელობა

კორუფცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თანამდებობის პირის დანაშაულებრივ გამდიდრებას სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებების შემმუშავებელი კომისიის აზრით, კორუფცია საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაა პირადი და ჯგუფური გამორჩენის მიზნით, ხოლო მექრთამეობა და საჯარო საკუთრების კერძო ინტერესებში გამოყენება კორუფციის გამოვლინებებია. *(იხ. საქ. ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებების პროექტი, თბ., 2000, გვ. 10.)* [1]

ფულის გათეთრების პრობლემა საერთაშორისო ხასიათს ატარებს. თანამედროვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, თავისი ეკონომიკის განვითარებისთვის, სხვადასხვა სახის ბარიერების გადალახვა უწევთ, რაც ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულია სწრაფ და ხარისხიან კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან.[2] კრიმინალური დაჯგუფებებს შეუძლიათ მიიღონ გარკვეული სახის ჯილდოები და ამით ნიღბავენ საკუთარ დანაშაულებრივ საქმიანობას.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) დანაშაულებრივი საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა. ფულის გათეთრების დეფინიციას საქართველოს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი შემდეგნაირად განსაზღვრავს: „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით

---

[1] იხ. პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის - ალექსანდრე კვაშილავა, სტატია, ჟურნალი სამართალი, 2001 წელი, N 12 გამოცემა, გვ. 60

[2] იხ. 8. Alexander K. (2000) The Legalization of the International Anti-money Laundering Regime: The Role of the Financial Action Task Force. Centre for Business Research. Page 2

სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა."[3] როგორც ვხედავთ, კანონმდებელი საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც იმაზე მეტყველებს რომ სახელმწიფო ყველანაირი შესაძლო საშუალებით ებრძვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას.

მაშასადამე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რადგან დანაშაულებრივმა პირებმა და ორგანიზაციებმა კრიმინალური შემოსავლები გამოსაყენებლად ვარგის რესურსებად უნდა გარდაქმნან, რამეთუ შემოსავალი, როემლსაც ვერ დახარჯავ, შემოსავლად არ ითვლება.[4]

ფულის გათეთრება არის ნაღდი ფულის და სხვა სახის შემოსავლების გარდაქმნა სხვადასხვა სახის აქტივებად, რადგან მოხდეს მათი წარმომავლობის წყაროს დაფარვა. გასულ წლებში, საერთაშორისო თანამეგობრობამ გადაწყვიტა რომ ფულის გათეთრების სტრატეგია არის ორგანიზებული დანაშაულის სახეობა, ისევე როგორც ტერორიზმი.[5]

მეცნიერებაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მრავალი (თუმცა მსგავსი) დეფინიცია არსებობს. 1984 წელს აშშ-ს პრეზიდენტთან არსებული ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კომისიის მიერ ფულის გათეთრება განისაზღვრა, როგორც

---

[3]იხ. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,1999 წელი, მუხლი 194, პირველი ნაწილი.

[4]იხ. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012 წელი. გვ.716.

[5] იხ. 11. Beare M. Money Laundering in Canada: Chasing Dirty and Dangerous Dollars. 2007. University of Toronto Press. https://utorontopress.com/us/money-laundering-in-canada-4

პროცესი, რომლის შედეგადაც იმალება შემოსავლების უკანონო წარმომავლობის არსებობა, ასევე მათი გარდაქმნა და გამოყენება იმგვარად, რომ არ დაექვმდებაროს იდენტიფიკაციას, როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული.[6]

ინტერპოლის 1993 წლის საინფორმაციო ბიულეტენებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) განსხვავებული ფორმულირებაა მოცემული: „თავისი არსით ფულის გათეთრება არის მეთოდი, რომლის მიზანიცაა უკანონო ქმედებების შედეგად მიღებული ფულით მაქინაციების წარმოება იმგვარად, რომ შედეგად მათი მიღების წყაროები აღმოჩნდეს კანონიერი."[7]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განმარტება, რომელიც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ძირითად საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში იყო მოცემული, ფაქტობრივად სრულიად აისახა FATF _ის რეკომენდაციებში, რომლის თანახმად, ფულის გათეთრება - ეს არის „რეალიზაცია ან გადაცემა ქონების, განზრახ მიღებულის დანაშაულებრივი გზით, იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან დაიმალოს მათი უკანონო წარმომავლობა; ან ხელშეწყობა პირისთვის, რომელიც მონაწილეობს ერთ ან რამდენიმე ასეთ დანაშაულში, თავი აარიდოს პასუხისმგებლობას შესაბამისი ქმედებების ჩადენისთვის."[8]

„ჭუჭყიანი" ფული ორგანიზებული დანაშაულის მამოძრავებელი ძალაა, ფულის გარეცხვის პრობლემის აღმოცენება პირდაპირ დაკავშირებულია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან. ორგანიზებულ დამნაშავეობას შეუძლია კოლოსალური ფულადი

---

[6] იხ. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება), სოფიო ასანიძე. თბილისი, 2012 წელი, გვ.17-18

[7] იხ. იქვე - გვ. 18

[8] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 19

საშუალებების მობილიზებით ზეგავლენა მოახდინოს სავალუტო კურსზე, საფონდო ბირჟებზე და აქედან გამომდინარე ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე.[9]

საკუთრივ ტერმინი ლათინური „corrumpo" _დან მომდინარეობს. ძველი ლათინები ამ სიტყვით რაიმეს გაფუჭებას, მოსპობას, გარყვნას აღნიშნავდნენ.[10]

კორუფცია (კორუფციული დანაშაული, მათ შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) - ეს არის ანტისოციალური საზოგადოებრივად საშიში მოვლენა, რომელიც ხელყოფს ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებს და წარმოადგენს დანაშაულთა სისტემურ ერთობლიობას, ჩადენილი საჯარო თანამდებობის პირებისა და მათი თანამონაწილეების მიერ საკუთარი თანამდებობრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის, მათ ხელში არსებული თანამდებობრივი და სამსახურეობრივი უფლებამოსილებების გამოყენებით მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმწიფოს, სახელმწიფო სამსახურის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, კომერციული და სხვა ორგანოების ინტერესების საზიანოდ პირადი გამდიდრების ან სხვა პირადი, ჯგუფური თუ კორპორაციული მიზნებისთვის.[11]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი სახეა, რომელიც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მომტანია სახელმწიფოსთვის. მისი პრაქტიკული გამოვლინებების ხასიათი და

---

[9]იხ. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012 წელი. გვ.715.

[10] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 22

[11]იხ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი - კორუფცია საქართველოში (კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი). თბილისი, 2011წელი. გვ.17

მაშტაბები, საკმაოდ დიდია. რატომ ხდება „შავი“ ფულის გათეთრება და რა ხერხებით ახერხებენ ამას, ქვემოთ იქნება განხილული.

1.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განვითარების ზოგადი ისტორია

ხშირ შემთხვევაში კორუფცია ორგანიზებული დანაშაულის ფორმით ხორციელდება. როგორც პრაქტიკა ნათლად ადასტურებს, ორივე განუკურნებელ სენად მოევლინა კაცობრიობას, ცალკეულ ქვეყნებსა და ხალხებს. ამასთან, ისიც უნდა ითქვას რომ საკუთრივ ორგანიზებული დანაშაული მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. ორგანიზებული დანაშაულის ცნების განსაზღვრის შემუშავება მეტად რთული და მრავალმხრივი პრობლემა აღმოჩნდა. ამიტომ სრულიად არ იყო შემთხვევითი, რომ გაეროს VIII კონგრესის (ჰავანა, კუბა,1990 წ. 27-08) მიერ აღინიშნა: „ერთი დებულებით შეუძლებელია განისაზღვროს ორგანიზებული დანაშაულის მრავალრიცხოვანი სახეობები, რომელთაც განაპირობებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური და ა.შ.“[12] *(ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხები (რუს.),მ.,1996, გვ.8)*

ფულის გათეთრების მსგავსი ქმედება, როგორც სოციალური მოვლენა, ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ დროში. შუა საუკუნეების ევროპაში მევახშეობა კათოლიკური ეკლესიის მიერ ისჯებოდა როგორც „მომაკვდინებელი ცოდვა,“ამიტომაც მევახშეები და ვაჭრები მიმართავდნენ სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც ფულის გათეთრების თანამედროვე მეთოდებსაც კი უსწრებდა წინ. მაგალითად: ვაჭრები მევახშეებთან წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე პროცენტებს იხდიდნენ როგორც ვადაგადაცილების ჯარიმას - რისკის კომპენსაციის დაზღვევის სახით. ამასთან,

[12]იხ. ალექსანდრე მუჯირი - კორუფცია და სახელმწიფო ხელისუფლება. თბილისი, 2002 წელი. გვ. 57.

პროცენტების გადახდის დასაფარად ისინი შეგნებულად ზრდიდნენ გაცვლით კურსს გადახდის საბუთებში.[13]

მკვლევართა და მეცნიერთა დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ „კორუფციის“ წარმოშობა უშუალოდ სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების არსებობას, ადამიანთა ხელში ძალაუფლების კონცენტრაციასა და ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას უკავშირდება.[14] აღნიშნული მოსაზრების დასტურია ის ფაქტი, რომ ბაბილონის მეფის ხამურაბის მიერ, ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინათ შექმნილ კანონებში გათვალისწინებული იყო სასჯელი მოსყიდვისთვის.[15]

ლიტერატურული და რელიგიური წყაროების რეტროსპექტული ანალიზი მოწმობს ფულის გათეთრების ანალოგიური მეთოდების გამოყენებას კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისტორია (ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით) დაიწყო აშშ-ში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში.[16]

1920 წლის 17 იანვრიდან აშშ-ში ძალაში შევიდა „მშრალი კანონი,“ რომლის ამოქმედებით აშშ-ში ორგანიზებული დანაშაულობა მკვეთრად გაიზარდა. ჩიკაგოში მოქმედებდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია „სინდიკატი,“ რომლის სათავეშიც იყვნენ იტალიელი ემიგრანტები. მათ მიერ ალკოჰოლის არალეგალური გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი უზარმაზარი იყო. ალკოჰოლის ვაჭრობით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის გზების ძიებისას მაფია ცდილობდა

---

[13]იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 9

[14] იხ. პოლიტიკური კორუფცია მსოფლიოს კონტინენტებზე - ლექციათა მოკლე კურსი. ქ. როსტიაშვილი. სარედ. კოლ. გ. ალასანია და სხვ. თბილისი, 2007 წელი. შპს „პოლიგრაფი“. გვ. 13

[15] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 13

[16]იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 10

ჩართულიყო ისეთ ლეგალურ ბიზნესში, რომელიც დიდი ოდენობით ნაღდი ფულით ოპერირებას მოითხოვდა. ასეთი ბიზნესი კი აღმოჩნდა სამრეცხაო და რძის ბიზნესი.[17]

ფულის გათეთრების „ნათლიმამად“ მეიერ ლანსკი ითვლება. ალ-კაპონეს „თანამებრძოლმა“ დაასკვნა, რომ შემოსავალი, რომელიც არ იყო ცნობილი შიდა საგადასახადო სამსახურებისთვის, არ ექვემდებარებოდა საგადასახადო დაბეგვრას. აიღო რა საფუძვლად ეს პოსტულატი, მან დაიწყო არალეგალური ფულის დაფარვის გზების ძიება. სწორედ ის გახდა დღეისათვის ცნობილი ლეგალიზაციის უმეტესი მეთოდების პირველაღმომჩენი. მან პირველად შეიცნო და შეაფასა შვეიცარიის ბანკების დანომრილი ანგარიშების, ბაჰამის ობშორებისა და სათამაშო ბიზნესის უპირატესობანი.[18]

ნაღდი ფულის გამოყენება აშშ-ში ყოველთვის შეზღუდული იყო. მასობრივად იყო გავრცელებული საბანკო ჩეკებით ანგარიშსწორება. ამიტომაც სახელმწიფოს, რომელიც აკონტროლებდა საბანკო სისტემას, შეეძლო ეფექტურად ედევნებინა თვალი უკანონო შემოსავლებსა და საგადასახადო დაბეგვრისაგან თავის არიდებაზე. აღსანიშნავია, რომ ჩიკაგოს მაფიის მეთაური ალ კაპონე დააკავეს და პასუხისგებაში მისცეს 215 ათასი აშშ დოლარის გადასახადის გადაუხდელობისთვის. ის 1931 წელს გაასამართლეს და მიუსაჯეს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.[19]

პირველად ტერმინი „ფულის გათეთრება“ ბეჭვდით საშუალებებში გამოჩნდა 1973 წელს აშშ-ს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონსა და „უოტერგეიტის“ სკანდალთან დაკავშირებით. 1972 წელს ნიქსონმა გადადგა პირველი ნაბიჯები პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ არჩევისთვის. ამ მიზნით მან შექმნა საარჩევნო კომიტეტი ჯორჯ მიტჩელის მეთაურობით, რომელმაც ფინანსთა მინისტრ მორის სტენსთან ერთად

---

[17]იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 10-11

[18]იხ. იქვე-გვ. 12-13

[19]იხ. იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 11

დაიწყო მომავალი საარჩევნო კამპანიისთვის ფინანსური ბაზისის ჩუმად შექმნა. ამ კომიტეტში შეედინებოდა კანონით აკრძალული ანონიმური შემოწირულობები, რომლის შესახებაც ცნობილი გახდა მოგვიანებით, უოტერგეიტში დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის შტაბის გამოტეხვის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ კომიტეტში შედიოდა გათეთრებული ფული.[20]

მაფიოზების მიერ სხვადასხვა ბიზნესის წარმოება ჩიკაგოში, მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდა ალკოჰოლით ვაჭრობით მიღებულ შემოსავლებს. თავდაპირველად, მაფიოზებმა შეიძინეს სამრეცხაოების ფირმა „ბულვარ ქლინერზ," შემდეგ კი ამავე სფეროს ერთ-ერთი უძველესი კომპანია „დრექსი ქლინერზ." ამ საწარმოების ფლობა იძლეოდა დანაშაულებრივი საქმიანობის ლეგალური ბიზნესით დაფარვის შესაძლებლობას და ამავე დროს შემოსავლის ლეგალურ წყაროს. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ ლეგალური ბიზნესის ბუღალტრული ტექნოლოგიების გამოყენებით ფულადი სახსრებით მანიპულირების საშუალება. ასეთი გზით თეთრდებოდა დანაშაულებრივი ფული (ტერმინიც „ფულის გარეცხვა" (money laundering) სწორედ აქედან იღებს სათავეს).[21]

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) მეოცე საუკუნეში გაძლიერდა. ამერიკის ცრიმინალური დაჯგუფებები ნაღდ ფულს იყენებდნენ სხვადასხვა სახით დასაბანდებლად ფინანსურ ინსტუმენტებში, მაგალითად კაზინოში და სხვა. ისინი ახორციელებდნენ სხვადასხვა სახის ფინანსურ ტრანზაქციებს და ამით ახერხებდნენ „ჭუჭყიანი" ფულის გაწმენდას.[22]

---

[20]იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ.13-14

[21]იხ. იქვე - გვ. 14

[22] იხ. Gallant M. Money Laundering and the Proceeds of Crime: Economic Crime and Civil Remedies. (2005) Cheltenham, UK: Edward Elgar. Page 11-12.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მრავალწლიანი ისტორია, ნათლად წარმოაჩენს ორგანიზებული დანაშაულის ამ განსაკუთრებული სახეობის როგორც შინაარსობრივ, ისე მატერიალურ მხარეს. მისი გავრცელების ფარგლები იმდენად დიდი იყო რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც მოეფინა, რომლის შესახებ ქვემოთ იქნება განხილული.

1.3უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ანტიკორუფციული პოლიტიკა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა (1921-1990) და თანამედროვე საქართველოში

კორუფცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში და თანამედროვე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საშიში სოციალური მოვლენაა. ტრადიციულად, კორუფციის მაღალ დონეს საქართველოში თავისი ობიექტური მიზეზები და ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში და განსაკუთრებით XX საუკუნის 60-იან წლებში კორუფცია მეტად მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნეოდა და სერიოზულად აწუხებდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.[23]

საბჭოთა კავშირში (რომლის შემადგენლობაში საქართველო, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 70 წლის განმავლობაში შედიოდა) მაშტაბური კორუფციული პროცესების განვითარება გასული საუკუნის 20-30- იან წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაფიქსირდა. მისი გავრცელება ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, შეიძლება შემდეგნაირად წარმოვჩინოთ:

[23]იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 17

კორუფციით მოწყვლადი ტერიტორიები - მოსკოვი, ურალი, შორეული აღმოსავლეთი, ამიერკავკასია, შუა აზია, დასავლეთ ციმბირი.

კორუფციული პროცესების ინსპირირებას საბჭოთა კავშირი (შესაბამისად საქართველო) ვერც გასული საუკუნის 30-40 იან წლებში აცდა.[24]

მაშტაბურ კორუფციაზე მეტყველებს 1932 წელს ერთ-ერთი მოხსენების დროს, საბჭოთა პარტიული ლიდერის ა. მიქოიანის განცხადება: [იპარავს ყველა კომუნისტების ჩათვლით. კომუნისტისათვის ადვილია ქურდობა, ვიდრე სხვისთვის. იგი დაჯავშნულია პარტიული ბილეთით და მასზე ნაკლებადაა ეჭვი].[25]

1945 წელს ორგანიზებული ჯგუფის წევრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი კ.ო. მიქაუტაძე, მისი მოადგილეები სხირტლაძე და ბერულავა, სხვა თანამშრომლები დააკავეს.[26] დანაშაულის ჩამდენმა პირმა სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლის ყალბი მოწმობით აღჭურვა მოქალაქე, ვინმე აკოპიანი, რომლის მეშვეობითაც განახორციელეს სავაჭრო საქმიანობა. მიღებული თანხებით აკოპიანი ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე თანამშრომელთათვის ავტომანქანების, მოტოციკლების, ტანსაცმლის და სხვა სახის პროდუქციის ყიდვას ახორციელებდა.[27]

საბჭოთა დიპლომატიური კორპუსის კორუფციაში ჩართვა ეტაპობრივად ხორციელდებოდა. პარტიულ და საბჭოთა ნომეკლატურის კორუფციულ პროცესებში ჩართვა ძირითადად, სახელმწიფოთა შორის წამგებიანი ხელშეკრულების ხელმოწერის ორგანიზების მეშვეობით ხდებოდა, რომლის შემდეგაც, აწ უკვე

---

[24] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 42

[25] იხ. Александр Афанасьев – Коррупциа в СССР. http://werewolf-0001. Livejournal.com. ბოლო ნახვა 10/05/2019 წელი

[26] იხ. Алексей ТЕПЛЯКОВО – Коррупции в органах НКГБ-МГБ СССР 1940-1950 х. Гг. 2009. www.epochtimes.ru

[27] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 43

კორუმპირებული ჩინოვნიკები, მნიშვნელოვანი არალეგალური შემოსავლების მიღებას ახერხებდნენ.[28]

საქართველოში, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში, 80-იანი წლების თითქმის ბოლომდე არ იყო ცნობილი ისეთი მოვლენა, როგორიც ფულის გათეთრებაა. თუმცა, „პერესტროიკის“ დასაწყისისთვის საბჭოთა კავშირში წარმოიქმნა მნიშვნელოვანი მოცულობის კრიმინალური და ჩრდილოვანი კაპიტალი, ხოლო ეკონომიკური დანაშაულობა მჭიდროდ დაუკავშირდა საერთო სისხლისსამართლებრივს და ორგანიზებული ხასიათის იყო. ამავე პერიოდში ნებადართულ იქნა კერძო საკუთრების ქონა ღირებულების და რაოდენობის შეუზღუდავად, თუმცა არ არსებობდა რაიმე სახის სამართლებრივი აქტი საკუთრების წარმომავლობის შესახებ. აღნიშნულმა, თავის მხრივ, განაპირობა საზოგადოებაზე იმ ნეგატიური შედეგების ზემოქმედება, რომლებიც გამოიწვია უსამართლო პრივატიზაციის დროს ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროში დაგროვებული უზარმაზარი კაპიტალის ლეგალიზებამ.[29]

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკაში რევოლუციური ცვლილებები მოხდა. წამყვანი განვითარებული სახელმწიფოები გადავიდნენ პოსტინდუსტიულ ეკონომიკასა და წარმოების ინფორმაციულ მეთოდზე. ევრობაზრის განვითარებით წარმოიქმნა ახალი საერთაშორისო ფინანსური ცენტრები - ლუქსემბურგი, სინგაპური, ჰონ-კონგი, პანამა, ბაჰამის კუნძულები და ა.შ. რომელთა საქმიანობაზეც არ ხორციელდებოდა სავალდებულო კონტროლი, ხოლო პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები არ იბეგრებოდა გადასახადებით. ტრანსნაციონალური კაპიტალი გათავისუფლდა „მეურვეობისაგან“ და გამოვიდა ნაციონალური სახელმწიფოების იურისდიქციიდან. მან დაიწყო თავისუფალი

[28] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 48

[29]იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 15

გადაადგილება მსოფლიო მაშტაბით უფრო შემოსავლიანი ბაზრების ასათვისებლად. თუ მკაცრი ფინანსური კონტროლის პირობებში სახელმწიფოს შეეძლო ეკონტროლებინა ნაციონალური სავალუტო ბაზარი, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციისა და სავალუტი კონტროლის შემსუბუქების შედეგად ტრანსნაციონალურ კაპიტალს გაუჩნდა ნებისმიერი სახელმწიფოს ბაზრის განადგურების შესაძლებლობა.[30]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამოქალაქო და ეთნიკური ომების, სახელმწიფო ინსტიტუტების დეზორგანიზაციისა და ყველა სახეობის დანაშაულობის უპრეცენდენტო ზრდის ფონზე კორუფციამ შეიძინა ყოვლისმომცველი ხასიათი. სამწუხაროდ, ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მართავდა ქვეყანას, ვერ შეძლო სახელმწიფოს წინაშე რეალურად მდგარი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა (შენიშვნა).[31]

ჩრდილოვანი შემოსავლების მასშტაბური გათეთრება ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ წლებში დაიწყო, როდესაც 1988 წელს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კანონი „კოოპერაციის შესახებ.“ ამ კანონით ნებადართული იყო კოოპერატივების შექმნა შემოსავლების დეკლარირების მოთხოვნის გარეშე, რაც ნიშნავდა ჩრდილოვანი კაპიტალის გასათეთრებლად გზების ოფიციალურად გახსნას. არსებული ცალკეული

---

[30]იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 14

[31]იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 17-18

შენიშვნა - საერთო ჯამში ედუარდ შევარდნაძე საქართველოს მართავდა 30 წელზე მეტ ხანს. XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადაიყვანეს საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივნად. მაშინ შევარდნაძე ხელისუფლებაში მოოვიდა, როგორც კორუფციასთან უკომპრომისო მებრძოლი. მან დიდი წმენდა ჩაატარა სახელმწიფო აპარატის შიგნით და შედეგად სერიოზული ზიანი მიაყენა ქვეყნის კორუმპირებულ კლანებს. აღნიშNული კამპანიის პროცესში საქართველოში დააპატიმრეს უამრავი ჩინოვნიკი, ზოგიერთ მაღალი თანამდებობის პირს დახვრეტა მიუსაჯეს. შემდგომში შევარდნაძე პერიოდულად აწყობდა ხანმოკლე აქციებს, რომლებმაც არ მოიტანა დადებითი შედეგი. (ორგანიზებული დანაშაულობა, როგორც ძალადობრივი დანაშაულისა და ეთნიკური კონფლიქტების ერთ-ერთი ძირითადი წყარი, თბილისი, 1998.)

ნორმატიული აქტები, რომელთაც უნდა დაეცვათ ეკონომიკა კრიმინალური კაპიტალის შეღწევისგან, პრაქტიკულად არ სრულდებოდა. ეფექტური გამოყენება ვერ ნახა ვერც საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის დადგენილებამ „არაშრომითი შემოსავლებიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძიერების ზომების შესახებ.“[32]

რეფორმის დასაწყისში ეკონომიკის კრიმინალიზაციის პროცესების განვითარებას ასევე ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამის ავტორების თეზისმა, რომლებიც 80-იანი წლების ბოლოს ამტკიცებდნენ, თითქოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ლოგიკა ითვალისწინებდა ჩრდილოვანი კაპიტალის გამოყენებას მთელი ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებისთვის. პრაქტიკულად, არალეგალური კაპიტალი რეფორმის რესურსულ უზრუნველყოფად განიხილებოდა.[33]

90-იანი წლების განმავლობაში საქართველოში საინვესტიციო რესურსების მძაფრმა უკმარისობამ არსებითად დააქვეითა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემისადმი მგრძნობელობის ზღვარი. 90-იანი წლების ბოლოსთვის პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები ფრანგი ექსპერტების მიერ შეფასებულ იქნა ორგანიზებული დანაშაულობისათვის მეტად მიმზიდველ და ფულის გათეთრების სწრაფად განვითარებად ცენტრებად, რომლებიც იმ პერიოდისათვის კონკურენციასაც კი უწევდნენ წყნარი ოკეანისა და კარიბის აუზის ქვეყნებს (ანუ ობშორებს) ფულის გათეთრებისთვის შესაფერისი საბანკო ქსელით, სამართალდამცავი ორგანოების დანგრეული სისტემით, ნაკლებეფექტური კანონმდებლობითა და განვითარებული საზღვაო კომუნიკაციებით. ამ მხრივ გამონაკლისი, ბუნებრივია, არც საქართველო იყო - საბაზრო ეკონომიკაზე

[32]იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 15-16
[33]იხ. იქვე - გვ. 16

გადასვლის სტადიაში მყოფი ქვეყნებისთვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის პრობლემა საკმაოდ მწვავე აღმოჩნდა.[34]

როგორც მოსალოდნელი იყო, სამართლებრივი რეფორმა საქართველოში განხორციელდა უსისტემოდ, თეორიული ბაზის, ერთიანი კონცეფციისა და სამეცნიერო მიდგომის უქონლობის პირობებში. მრავალი კანონი მომზადდა უცხოური გრანტების ხარჯზე უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ან გადმოაკოპირეს უკვე არსებული მოდელები. შედეგად საქართველოს კონსტიტუციამ გარკვეულწილად გადაიღო ამერიკის შეერთებული შტატების მოდელი, რომელიც აფინანსებდა მოცემულ პროექტს, სამოქალაქო კოდექსი ორიენტირებული იყო კონტინენტურ (გერმანულ) სამართალზე, სისხლის სამართლის კოდექსს კი ბევრი საერთო აღმოაჩნდა რუსეთის სისხლის სამართლის დოქტრინასთან (შენიშვნა).[35]

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, საქართველოში უსისტემოდ ჩამოყალიბდა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც 90-იანი წლების მეორე ნახევარში უცხოელი სპონსორების დაჟინებული მოთხოვნით მიღებულ რამდენიმე სამართლებრივ აქტს ეფუძნებოდა. ანტიკორუფციულ საკანონმდებლო აქტებს შორის აუცილებელია, აღინიშნოს 1997 წლის 17 ოქტომბერს მიღებული კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ, რომელიც მომზადდა მრავალი ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით და რომელსაც აქტიურად ლობირებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონზე ქართული საზოგადოება დიდ იმდებს ამყარებდა, მის მიღებას დადებითი შედეგები არ მოუტანია, რადგან აღნიშნული კანონი იქმნებოდა არსებული რეალიებისგან

---

[34] იხ. იქვე - გვ. 16-17

[35] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 19

შენიშვნა - კანონებისა და კოდექსების შექმნისას პრიორიტეტები, ძირითადად, განისაზღვრებოდა იმ ქვეყნის დოქტრინით, რომელიც აფინანსებდა მოცემული სამართლებრივი აქტის მომზადებას. დაფინანსების არარსებობის პირობებში კი გამოიყენებოდა ხელმისაწვდომი მოდელები.

მოწყვეტით და არ იყო გათვლილი საქართველოს კონკრეტულ სამართლებრივ და ეკონომიკურ ბაზაზე (შენიშვნა).[36]

კორუფციასთან ბრძოლის კოორდინაციის მიზნით, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით, ანტიკორუფციული პროგრამის შემუშავებისთვის 2000 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია 7 წევრის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობდა უზენაესი სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე ლადო ჭანტურია. კომისიამ მოამზადა ნაციონალური ანტიკორუფციული პროგრამა, რომელიც ასევე განწირული აღმოჩნდა ჩავარდნისთვის.

ანტიკორუფციული ნაციონალური პროგრამის ჩარჩოებში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, 2000 წლის 13 აპრილს შეიქმნა საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც 2004 წელს დაითხოვა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მისი სრული უუნარობის მოტივით.[37]

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა გიგანტური კორუმპირებული ბიუროკრატიული აპარატი, რომელმაც რესპუბლიკა სრულ ეკონომიკურ კოლაფსამდე მიიყვანა.

---

[36] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 19

შენიშვნა - სახელმწიფო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონი (N 982, 17/10/1997 წელი.) თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის დეკლარირების წესი, დამტკიცებულია პრეზიდენტის 1998 წლის 10/07 N413 ბრძანებულებით. თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის სწორი შევსების ინსტრუქცია, დამტკიცებულია პრეზიდენტის 1998 წლის 10/07 N413 ბრძანებულებით. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ დეკლარირების პროცედურის რეგლამენტაციის შესახებ (ბრძანებულება N413, 10/07/1998 წელი). თანამდებობის პირის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს შესახებ დებულება.

[37] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 20

მოსახლეობა, რომელიც ვერ შეეგუა უკანონობასა და სისტემატურ მოსაკრებლებს, აჯანყდა, რასაც ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა.

2003 წლის ნოემბერში მოხდა „ვარდების რევოლუცია," რის შედეგადაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახდა. ახალმა ხელისუფლებამ მართვის პირველივე დღეებიდან გამოავლინა პოლიტიკური ნება და პრაქტიკულად განახორციელა ორგანიზებული დანაშაულობისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული, ზოგჯერ რადიკალური პროგრამების მთელი კომპლექსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში[38] დაწესდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, კერძოდ, 2006 წლიდან სსკ-ის 194-ე მუხლით განისაზღვრა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გთეთრება), თუმცა მდგომარეობა რადიკალურად არ შეცვლილა, ვინაიდან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში რეალიზებული არ იყო იდეა კომპლექსური მიდგომის შესახებ.[39]

[38] იხ. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 22/07/1999 წელი. მუხლი 194

[39]იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 18-20

თავი II

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი შემადგენლობა

2.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტური შემადგენლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXVI თავით გათვალისწინებულია დანაშაულთა ის კატეგორია, რომელიც მიმართულია სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ. სწორედ ამ თავში შედის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - 194_ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.[40]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის და, უპირველეს ყოვლისა, ფულად-საკრედიტო სისტემის დაცვას დიდი მოცულობის არაკონტროლირებადი ფულადი სახსრების შემოსავლისაგან, ამას მოითხოვს აგრეთვე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ინტერესები.[41]

---

[40] იხ. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის რედაქცია (კონსოლიდირებული ვერსია), თავი XXVI, მუხლი 194, ნაწილი I

[41] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა). მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი. გვ. 426

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სუბიექტური მხრივ პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. პირს შეგნებული აქვს, რომ სჩადის მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია უკანონო გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციისკენ და მას სურს ეს ქმედება.[42] უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გაუფრთხილებლობით ჩადენა გამორიცხულია, რადგან პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.[43]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი მოქმედებს ანგარების მოტივით, რომლის მიზანია კანონგარეშე, ფინანსური სარგებლის მოხვეჭა. ის იმყოფება მუდმივ დანაშაულებრივ გარიგებაში და შეუძლია განახორციელოს პოლიტიკური მოსყიდვა და კონტროლი თავისი საქმის წარმატებითი გაგრძელებისთვის.[44]

ვინაიდან, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი მოქმედებს ანგარების მოტივით და სურს მატერიალური სარგებლის მიღება ანუ გამდიდრება, დამნაშავეს ამოძრავებს შემოსავლის უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი.[45] სწორედ ამიტომ, ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება.

---

[42] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა). მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი. გვ. 429

[43] იხ. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თავი III, მუხლი 9, ნაწილი II

[44] იხ. ორგანიზებული დანაშაულებრივი მოღვაწეობა - ბ. ნურგალიევი. რუსეთი, ყარაგანდა, 1997 წელი, გვ. 17

[45] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა). მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი. გვ. 429

2.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობა

1990 წლის 8 ნოემბერს სტრასბურგში ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს კონვენცია დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ.(რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 17 თებერვალს). 2003 წლის 6 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, რომელშიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განმარტებულია როგორც უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე, მისი ნამდვილი წარმოშობის მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა.[46]

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია რომ დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი სახსრების დიდი ნაწილი ხმარდება კრიმინალური მეწარმეობის განვითარებას, უძრავი ქონების შეძენას. ამგვარი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის ლეგალიზება ხდება ვალუტაზე გადაცვლითა და საზღვარგარეთ გადარიცხვით.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს ორი ფორმით: პირველი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ე.ი. უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემაში (ქონებით სარგებლობა, შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით (შენიშვნა).[47]

---

[46] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა). მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი. გვ. 426

შენიშვნა. უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების განსაზღვრება მოცემულია 194-ე მუხლის შენიშვნაში. ჩვენმა კანონმდებელმა მეტისმეტად გააფართოვა პასუხისმგებლობის საზღვრები, როცა ლეგალიზაციის საგნად აღიარა უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება, ნაცვლად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისა.

კანონი სანიმუშოდ ჩამოთვლის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხებს.ეს გამართლებულიცაა, ვინაიდან შემოსავლების გათეთრების ხერხები მეტად მრავალფეროვანია. მაგალითად, ნაღდი ფული გარდაიქმნება სხვა ღირებულებად - საბანკო ანაბრად ან უძრავ ქონებად. უძრავი ქონება შემდეგ იყიდება და მიღებული შემოსავალი კანონიერად გამოიყურება. ან კიდევ „ჭუჭყიანი“ ფულის ინტეგრირება ხორცილდება ქვეყნის შიდა საფინანსო სისტემაში ან მისი ექსპორტირება ხდება ლიბერალური საფინანსო სისტემის მქონე ქვეყნებში და სამშობლოში ბრუნდება კანონიერი გადარიცხვების ფორმით. შემოსავლის ლეგალიზაციისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა ოპერაციები. მაგალითად, კაზინოში, ლატარიაში, ტოტალიზატორში, ქსელურ თამაშში მოგების მიზანი. შემოსავლების ლეგალიზაციის ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია მათი დაბანდება უკვე არსებულ სამეწარმეო სტრუქტურებში, ანდა გამოიყენება ახალი კომერციული ორგანიზაციების, საქველმოქმედო ფონდების შესაქმნელად და მისთ.[48]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც წესი, რამდენიმე ოპერაციისგან შემდგარი პროცესია. არსებობს ფულის გათეთრების ორსაფეხურიანი, სამსაფეხურიანი და ოთხსაფეხურიანი მოდელები. ორსაფეხურიანი მოდელი მოიცავს ფულის „გარეცხვას“ და ბრუნვაში დაბრუნებას. სამსაფეხურიანი მოდელი გულისხმობს:

1) **განთავსებას ე.ი. არალეგალური წყაროდან ფულის გადატანა ლეგალურში (მაგალითად, საბანკო გადარიცხვა სხვა რომელიმე ქვეყანაში).**
2) **„კვალის წაშლას“- მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციები ერთი ქვეყნიდან მეორეში.**

---

44 იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა). მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი. გვ. 427

[48] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა). მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი. გვ. 427

3) **ინტეგრაცია, მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციების შემდეგ ლეგალიზებული საშუალებების დაბრუნება ოფიციალურ ეკონომიკურ ციკლში (მაგალითად, ფულის ეკონომიკაში განთავსება ან უძრავ ქონებაში დაბანდება).**

გაეროს ექსპერტები გამოყოფენ ფულის გათეთრების ოთხ სტადიას:

1) **ნაღდი ფულისაგან გათავისუფლება;**
2) **ნაღდი ფულადი საშუალებების განაწილება;**
3) **კვალის წაშლა;**
4) **ფულადი მასის ინტერგაცია.**[49]

ყოველგვარი ფინანსური ოპერაცია უკანონო გზით მოპოვებულ ქონებასთან დაკავშირებით ლეგალიზაციის (გათეთრების) ნებისმიერ სტადიაზე დანაშაულებრივია და დაკვალიფიცირდება როგორც დამთავრებული დანაშაული, ვინაიდან მიზნით დაფუძნებულ დელიქტთან გვაქვს საქმე. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება თუნდაც ვერ იქნეს მიღწეული ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის მეორე ფორმაა - უკანონო შემოსავლის ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძება განხორციელდეს როგორც მოქმედებით (მაგალითად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ახლო ნათესავებზე გადაფორმებით ანდა მისი შენიღბვა კერძო

[49] იხ. Кернер Х.Х. Дах. Э. Отмывание денег. М. 1996, с58-63. Волженкин Б.В. Преступления в сфере Экономической деятелносты. Спб. 2002, с. 232

კომპანიების ან ფონდების შექმნით), ისე უმოქმედობით (მაგალითად, დეკლარაციის შევსების დროს ამა თუ იმ ქონებაზე უფლების დამალვა).[50]

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი. ლეგალიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთპიროვნული ამსრულებლობის, ისე თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ფორმით. საინტერესოა, თუ როგორ უნდა გაიმიჯნოს პირველადი დანაშაულის (ანუ პრედიკატიული დანაშაულის) ამსრულებელი ლეგალიზაციის ამსრულებლისგან. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში განსხვავებული მიდგომები ასრებობს. ჩვენ ვემხრობით იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც შემოსავლის ლეგალიზაცია არის პრედიკატიული დანაშაულის დაფარვის ფორმა (დანაშაულთან შემხებლობა), ამიტომ ძირითადი დანაშაულის ამსრულებელი არ განიხილება ფულის გათეთრების ამსრულებლად. იგივე მიდგომა არსებობს საფრანგეთსა და გერმანიაში.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება განაპირობა საერთაშორისო მაშტაბით გავრცელებულმა პრაქტიკამ, სადაც იურიდიული პირის სახელით ან მეშვეობით (გამოყენებით) ანდა მის სასარგებლოდ ყველაზე ხშირია ამ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება.[51]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობა ხასიათდება სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებებით, რომელთა მეშვეობითად ხდება ამ დანაშაულის ჩადენა.

---

[50] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა). მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი. გვ. 428

[51] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა). მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი. გვ. 428

2.3 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების გზები და მეთოდები საერთაშორისო აქტებისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის შესახებ გაეროს (ვენის კონვენცია) 1989 წლის კონვენციის[52] მესამე მუხლის b პუნქტის მიხედვით, შემოსავლის ლეგალიზაცია ნიშნავს საკუთრების კონვერსიას ან გადაყვანას, თუ ცნობილია, რომ ეს საკუთრება მიღებულია ამავე მუხლის a პუნქტის (i) ქვეპუნქტში[53] მითითებული სამართალდარღვევების ჩადენის შედეგად, ან მასში მონაწილებით, საკუთრების უკანონო წყაროს დაფარვის ან შენიღბვის მიზნით, ანდა ნებისმიერი პირისთვის დახმარების გაწევის მიზნით ვინც მონაწილეობს ასეთ სამართალდარღვევაში, იმისთვის რომ თავი აარიდოს პასუხისმგებლობას თავისი ქმედებისთის.[54]

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს (პალერმოს) 2000 წლის კონვენციის[55] მე-6 მუხლის მიხედვით, ფულის გათეთრება მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გარდაქმნა ან გადაცემა ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან დამალვის მიზნით ან ნებისმიერი იმ პირისთვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელიც ძირითადი სამართალდარღვევის მონაწილეა, რათა თავი აარიდოს საკუთარი ქმედების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობას. ასევე, წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი

---

[52] იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 1988 წლის 19 დეკემბერი - მუხლი მე-3, ნაწილი 2, პუნქტი b.

[53] იხ. იქვე- ნაწილი 1, პუნქტი (a), ქვეპუნქტი „I".

[54] იხ. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012 წელი. გვ.772

[55] იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ - 15/11/2000 წელი, მუხლი მე-6, ნაწილი 1, პუნქტი (a) ქვეპუნქტი "I".

ხასიათის, წყაროს, ადგილის, განკარგვის ხერხის, გადაადგილების, ქონებაზე უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან დამალვა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების იგივე გზებს განსაზღვრავს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო 1990 წლის კონვენციის[56] მე-6 მუხლი.

ამრიგად, საერთაშორისო აქტების მიხედვით, ლეგალიზაცია არის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ტრანსფორმაცია, რომლის მიზანია ეს ქონება ლეგალური ფორმებით მიღებულად წარმოაჩინოს. აღსანიშნავია, რომ სამივე კონვენცია შემოსავლის გათეთრების ფორმად თვლის ასევე, საკუთრების შეძენას, ფლობას ან გამოყენებას, თუ მისი მიღების მომენტში ცნობილი იყო რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალია.[57]

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო აქტებში იკვეთება ფულის გათეთრების სამი ტიპის ხერხი:

- **ქონების კონვერსია ან გადაყვანა (გადარიცხვა);**
- **ქონების შენიღბვა ან დამალვა;**
- **ქონების შეძენა, ფლობა, გამოყენება.[58]**

საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ[59], შემოსავლის ლეგალიზაციის შემდგომ განმარტებას გვთავაზობს - უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა,

---

[56] იხ. ევროპის საბჭოს კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ - 08/11/1990 წელი, მუხლი მე-6, ნაწილი 1, პუნქტი (a), ქვეპუნქტი „I".

[57] იხ. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012 წელი. გვ. 774

[58] იხ. იქვე - გვ. 774-775

[59] იხ. საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ - 06/06/2003 წელი, მუხლი მე-2, პუნქტი „გ".

გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე, მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ანდა ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა. ანალოგიურად განმარტავს საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას.

ფულის გასათეთრებლად ბანკებს შორის საკორესპონდენტო ურთიერთობების გამოყენების დროს ხდება უკანონო თანხების ბანკ-კორესპონდენტებთან გადაგზავნა და ბანკთაშორისი გადაყვანის გარეგნული სახის მიცემა. ასეთი მეთოდები დამნაშავეებს შესაძლებლობას აძლევს განსაკუთრებით დიდი თანხები გადააადგილონ და დოკუმენტურად ოპერაციის ნამდვილი არსი მიჩქმალონ.[60]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძალიან რთულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების ყველა სახის გზისა და მეთოდის განხილვა.

[60] იხ. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012 წელი. გვ. 777

თავი III

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სპეციალური ამსრულებელი

3.1 მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 194-ე მუხლით არის განსაზღვრული, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის დამამძიმებელ გარემოებებს. მათ შორის არის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაკვალიფიცირებელი გარემოება - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გთეთრება) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება გულისხმობს მოცემული დანაშაულის ჩადენას როგორც მოხელის, ასევე კერძო სექტორში დასაქმებული პირის მიერ. თუმცა, ძირითადი აქცენტი კეთდება საჯარო მოხელეზე, რომელიც თანამდებობის პირია და საკუთარ სამსახურებრივ მდგომარეობას, თანამდებობას და კავშირებს იყენებს მოცემული დანაშაულის ჩასადენად.

ზოგადად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, როგორც კორუფციის გამოვლინების ერთ-ერთი სახის ცნების ქვეშ იგულისხმება მინდობილი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლობისთვის, რაც, უმეტესად, საზოგადოების ხარჯზე ხდება. აქვე იგულისხმება ის დელიქტები, რომლებშიც საჯარო მოხელეები თავიანთი თანამდებობის ბოროტად გამოყენებით რაიმე სარგებელს აღწევენ თავისთვის ან მესამე პირებისთვის.[61] ამ დანაშაულის ამსრულებელი შესაძლებელია საქმიანობდეს როგორც საჯაროსამართლებრივი, ისე კერძოსამართლებრივი ინსტიტუტებისთვის, რომლისთვისაც იღებს აკრძალულ

[61] იხ. კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები - არჩილ შეყლაშვილი, თბილისი, 2018 წელი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, გვ. 9

სარგებელს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს დამნაშავისთვის მინდობილი ძალაუფლება, რომელსაც ბოროტად იყენებს და ამით არამართლზომიერ სარგებელს იღებს.[62]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება საკმარისი არ არის კორუფციის აღმოსაფხვრელად. ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მოხელეს, რათა მას არ გაუჩნდეს „საჭიროება" ეძებოს შემოსავლის სხვა წყაროები.

საქართველოში საჯარო მოხელის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ნათელი მაგალითი იყო გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პროცესები, როდესაც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. მჟავანაძეს და რესპუბლიკის რამდენიმე ხელმძღვანელ პირს თანამდებობა ჩამოართვეს. მათ ბრალი დაედოთ, უპირველესად, ნეპოტიზმსა და თანამდებობის პატრონაჟში.[63]

3.1.1 ქართული კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლს კოდექსის მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთპიროვნული ამსრულებლობის, ისე თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ფორმით. ამჯერად, უშუალოდ მოხელის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე შევაჩერებთ ყურადღებას.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რომელიც სამსახურებრივი მდგომარეობით არის ჩადენილი, მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მოცემული დანაშაულის

---

[62] იხ. კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები - არჩილ შეყლაშვილი, თბილისი, 2018 წელი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", გვ. 9
[63] იხ. იქვე - გვ.64

განხორციელების პროცესში ჩართულია სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელე, აგრეთვე პირი რომელიც სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობით ან წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს.[64]

კორუფციისთვის, განსაკუთრებით საჯარო სექტორში, დამახასიათებელია საკმაოდ დიდი მოცულობა გამოუვლენელი დანაშაულებებისა, რაც სპეციალისტების შეფასებით, დაახლოებით 90-95 % -ს შეადგენს.[65]

საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებლობის საშიშროებაზე და ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ[66] პირდაპირ ავალდებულებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფობს, რომ მიიღონ ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება აუცილებელი გახდეს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებების დანაშაულად გამოცხადებისთვის:

„საჯარო მოხელის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, პირადად ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ, იმისთვის, რომ ამ მოხელემ თავისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისგან“.[67]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას თავის სამსახურებრივ

---

[64] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა). მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი. გვ. 430

[65] იხ. კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები - არჩილ შეყლაშვილი, თბილისი, 2018 წელი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, გვ. 36

[66] იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ - 15/11/2000 წელი, მუხლი მე-8.

[67] იხ. იქვე - მუხლი 8

უფლებამოსილებას იყენებს. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ დანაშაულის ამსრულებელი თანამდებობის პირი უნდა იყოს. თუმცა, ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ რუსი მეცნიერი, ა. ბოიცოვი, მართებულად აღნიშნავს, რომ სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენება ნიშნავს დანაშაულისთვის არა თანამდებობის, არამედ სამსახურეობრივი მოვალეობის გამოყენებას. შესაძლებელია რომ დანაშაული ჩაიდინოს რიგითმა მუშაკმა თავისი ფუნქციურად აღჭურვილი მოვალეობის ფარგლებში.[68]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებლის ერთ-ერთ სახეს, როგორც უკვე აღვნიშნე, მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი წარმოადგენს. მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრება ჩადენილი ქმედების სამართლებრივი ფარგლებიდან გამომდინარე.

3.1.2 საერთაშორისო აქტებისა და უცხოური კანონმდებლობის მიხედვით

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების შესაძლებლობას ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნის როგორც შიდა სამართლებრივი კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო სამართლებრივი კონვენციები. მათ შორისაა:

1. *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ; გაეროს 1999 წლის კონვენცია „ტერორიზმის ფინანსირების წინააღმდეგ“ (ნიუ-იორკი);*
2. *გაეროს 2000 წლის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (პალერმო);*

[68] იხ. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა - გიორგი შაშიაშვილი, დისერტაცია, 30/01/2015 წელი. ხელმძღვანელი გიორგი თოდრია.

3. *გაეროს 2003 წლის კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ (მერიდა);*
4. *ევროსაბჭოს 1990 წლის კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ (სტრასბურგი);*
5. *ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებ-რივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ (ვარშავა).*[69]

აღნიშნული კონვენციები მკაფიოდ განსაზღვრავენ ორგანზებული დანაშაულის ერთ-ერთი ფორმის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ საკითხებს, რომლის ფარგლებშიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას რომ თითოეულმა სახელმწიფომ, შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემა აღნიშნულ კონვენციებთან.

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც მოხდა ნებისმიერი მთავრობის ანგარიშვალდებულების ინკორპორირება საკუთარი მოსახლეობის წინაშე, იყო 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ფრანგული დეკლარაცია. მისი XV მუხლის მიხედვით, „საზოგადოებას აქვს უფლება მოსთხოვოს პასუხი ნებისმიერ თანამდებობის პირს, მმართველობის მისთვის მინდობილი ნაწილისთვის.“[70]

რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ მიდგომას, საკმაოდ საინტერესოა. მაგალითად, აშშ-ში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხი, რომელიმე კონკრეტული სამართლებრივი კანონით არ არის განსაზღვრული, რადგან არ არსებობს სისხლის სამართლის კოდიფიცირებული მოდელი.[71] შესაბამისად,

---

[69] იხ. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა - გიორგი შაშიაშვილი, დისერტაცია, 30/01/2015 წელი. ხელმძღვანელი გიორგი თოდრია.

[70] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 17

[71] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 17

„ფულის გათეთრების“ სპეციალური ამსრულებელი, მოხელე შესაძლებელია აქტიურად იყოს ჩართული ამ დანაშაულის ჩადენაში და თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვანაირი იყო მიდგომა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის მხრიდან.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) იტალიის კანონმდებლობით 1978 წლიდან ისჯება. სისხლის სამართლის კოდექსის 648-ბი მუხლის მიხედვით, პირის მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულის, ქონების ან სხვა სარგებლის გადაცვლა ან გადარიცხვა ან ამ ქმედებათა ჩადენა სხვა ოპერაციების განხორციელებით, რომლებიც ხელს უშლის მათი დანაშაულებრივი წარმომავლობის დადგენას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ოთხიდან თორმეტ წლამდე და ჯარიმით, ორიდან ოცდაათ მილიონ ლირამდე.[72]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოხელეების ან მათთან გათანაბრებული პირების განსაკუთრებული კონტროლი, რომელიც უნდა გამოიხატოს როგორც სამართლებრივი, ისე სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

3.2 კერძო სექტორში დასაქმებული პირი, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, როგორც კორუფციის ერთ-ერთი გამოვლინება, თავის გამოხატულებას სხვადასხვა სფეროში ჰპოვებს. მათგან აღსანიშნავია ინიციატიური, სიტუაციური (იგივე ხელსაყრელი შემთხვევისა) და

[72] იხ. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, ნომერი 2. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა იტალიაში - დავით მესხიშვილი. გვ. 111

სტრუქტურული კორუფცია.[73] თითოეულ ამ სახეს თავისი გამოვლინების განსხვავებული ფორმა აქვს, კერძოდ. ინიციატიური კორუფციის დროს, ძირითადად მოხელეები მოქმედებენ საკუთარი ინიციატივით. ამით, მათ სურთ აჩვენონ, რომ მათზე ზეგავლენის მოხდენა შესაძლებელია და ასეთი მოხელეები მიჩნევიან როგორც „მომთხოვნი“ პირები.[74]ეს, ძირითადად ქრთამის აღება-მიცემობასთან დაკავშირებული კორუფციული გარიგების დროს გვაქვს სახეზე.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ფიზიკური პირის კატეგორიაც შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად - მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი და კერძო სექტორში, კერძო სამართლის იურიდიულ პირში ან დამოუკიდებლად დასაქმებული ფიზიკური პირი. მოხელეთა რიცხვში შეიძლება შედიოდნენ შემოსავლების სამსახურის მუშაკები, სხვა თანამდებობის პირები, ხოლო კერძო სექტორის წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკის წარმომადგენლები, კერძო სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლები და სხვა. გავრცელებული შეხედულების მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დივერსიფიკაციას ხელი შეუწყო ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა: ფულადი საშუალებების ბრუნვის გაადვილება, ერთი ქვეყნიდან მეორეში დიდი ოდენობით კაპიტალის თავისუფლად გადაყვანის შესაძლებლობა, სათანადო იურიდიული ბაზის არ არსებობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფულის გათეთრებაში ჩართულ ორგანიზებულ დამნაშავეებს ჰყავთ მაღალკვალიფიციური მრჩეველები (gate keeper - კარების დარაჯი), რომლებიც რჩევებს აძლევენ მათ ფულის გარეცხვის ტექნოლოგიებზე, ისინი იგონებენ

[73] იხ. კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები - არჩილ შეყლაშვილი, თბილისი, 2018 წელი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, გვ. 12
[74] იხ. იქვე. - გვ.12

ეკონომიკური საქმიანობის ისეთ სქემებს (მოდელებს), რომლითაც ინიღბება კაპიტალის უკანონო გადაადგილება.[75]

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, სამეწარმეო სექტორში შავი ფულის წარმოქმნის გავრცელებული მეთოდია შემოსავლებით მანიპულირება. აქ, ძირითადად მოიაზრება სამეწარმეო საქმიანობას რეგისტრაციის გარეშე ანდა ნაადრევი განაცხადის გაკეთებას წარმოების შეწყვეტის შესახებ. ასეთ დროს, შესაძლებელია გადასახადის პოტენციურმა გადამხდელმა თავისი საქმიანობა წარმოაჩინოს გადასახადით დაუბეგრავ საქმიანობად.[76]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის დისპოზიციაში მოცემული დეფინიციის ***(...ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით...)***[77]პრაქტიკული გამოხატულება შეიძლება გამოიხატოს ისეთ სამეწარმეო საქმიანობაში, როდესაც მეწარმემ შეიძლება განაცხადოს რომ ახალ ფირმას არ დაუწყია საქმიანობა, შესაბამისად არ აწარმოებს ბუღალტერიას და შეუძლებელია მისი ბრუნვის შემოწმება, ან კიდევ, შესაძლებელია მეწარმემ საწარმოს რეგისტრაციამდე დაიწყოს კონკრეტული საქმიანობა (მაგალითად ვაჭრობა ან გარკვეული პროდუქციის წარმოება), მიღებული შემოსავალი კი ნათესავის ან სხვა პირის ანგარიშზე გადარიცხოს.[78] ასეთ შემთხვევაში, დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების სქემა რთული და მრავამხრივია,

---

[75] იხ. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012 წელი. გვ. 718

[76] იხ. იქვე - გვ. 738

[77] ***შენიშვნა*** - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის დისპოზიცია სრულად - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის **დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით,** აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.

[78] იხ. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012 წელი. გვ. 738-739

რომელიც საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი და ეფექტური სამართლებრივი ღონისძიებების გატარებას.

3.2.1 ქართული კანონმდებლობის მიხედვით

კერძო სექტორში დასაქმებული პირის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების სხვადასხვა საშუალება არსებობს, რომელთაგან მნიშვნელოვანია სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ჩადენილი „ფულის გათეთრების“ ხელშემწყობი პირობებისა და გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დადგინდეს სახელმწიფოს ნეგატიური დამოკიდებულების გამომხატველი როგორც შედასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიდგომა ამ დანაშაულთან ბრძოლის საკითხში. მათ შორისაა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი და სხვ.

კერძო ეკონომიკურ სექტორში არსებობს რამდენიმე ისეთი სფერო, სადაც კორუფციული ურთიერთობები, მათ შორის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამართლებრივი ასპექტების აღმოცენება და განვითარება განსაკუთრებულად დამახასიათებელია.[79] მათ შორისაა:

1. **შესყიდვებისა და შეკვეთების გაცემა;**
2. **საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვა;**
3. **უსაფრთხოებისა და კონტროლის ადგილები.**

[79] იხ. კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები - არჩილ შეყლაშვილი, თბილისი, 2018 წელი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, გვ. 59

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია კერძო სამართლის იურიდიული პირის ან ფიზიკური პირის მიერ შეიძლება განხორციელდეს როგორც დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ორგანოს ან თანამდებობის პირის დახმარების გარეშე, ისე მათი მეშვეობით ან მათთვის გარკვეული სარგებლის მიცემის გზით. ეს შეიძლება გამოიხატოს მოხელის მხრიდან გაწეული მფარველობით ან უშუალო ხელის შეწყობით.

კორუფციული ქმედების ჩამდენი შესაძლოა იყოს პირი, რომელიც მუშაობს დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად.[80] აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო მოხელედ ითვლება არა მხოლოდ საჯარო სექტორში დასაქმებული პირი, არამედ ნებისმიერი ინდივიდი, რომელიც ახორციელებს საჯარო ამართლებრივ უფლებამოსილებას.[81]

კერძო სამართლის მთელ რიგ სუბიექტებზე სახელმწიფოსაგან დელეგირებულია საჯარო სამართლებრივი ფუნქციები, მაგალითად: კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, ისევე, როგორც შპს „საქართველოს რკინიგზა“ სანიტარული ზედამხედველობის ნორმების დადგენისას.[82]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოსთვის, როგორც ეკონომიკურად სუსტი ქვეყნისთვის. სწორედ ამიტომ, აუცილებელია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების სისტემატიური და ეფექტიანი გაუმჯობესება.

---

[80] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი , წიგნი II - მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. გვენეტაძე და სხვ. რედ. გ. მამულაშვილი. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი, 2009 წელი. გვ. 130

[81] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 24

[82] იხ. იქვე - გვ. 25

3.2.2 საერთაშორისო აქტებისა და უცხოური კანონმდებლობის მიხედვით

კერძო სექტორში დასაქმებული პირი ხშირად ხდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი. ამას, ნაწილობრივ განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და შესაბამისად, სახელმწიფოებრივი კონტროლის არაეფექტურობა დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიმართ. ვინაიდან, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) ორგანიზებული დანაშაულის განსაკუთრებული სახეობაა, მისი საშიშროების ხარისხი გაცნობიერებული აქვს საერთაშორისო თანამეგობრობას. სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა საერთაშორისო აქტების მიღება, მაგალითად: 2003 წლის ოქტომბერში, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „კორუფციის წინააღმდეგ“ კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 2005 წლის 14 დეკემბერს.[83] მოცემული კონვენცია მიზნად ისახავს კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას.

ასევე, მნიშვნელოვანი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საბჭოს მიერ მიღებული კონვენცია სახელწოდებით „უცხოელი თანამდებობის პირების მოქრთამვის წინააღმდეგ საერთაშორისო გარიგებების პროცესში“, 1997 წლის 23 მაისს. იგი ძალაში შევიდა 1997 წლის დეკემბერში, 28 წევრი სახელმწიფოს მხრიდან ხელმოწერის შემდეგ.[84]ამ კონვენციის მიზანს უკანონო გარიგებების აღკვეთის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. კონვენციის სათაურში აღნიშნული „უცხოელი თანამდებობის პირების“ კონტექსტში იგულისხმება როგორც საჯარო სექტორში დასაქმებული მოხელეები, ისე კერძო სექტორის თანამდებობის პირები, რომლებიც ასრულებელ საჯარო სამართლებრივ

[83] იხ. კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები - არჩილ შეყლაშვილი, თბილისი, 2018 წელი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, გვ. 19
[84] იხ. იქვე - გვ.20

უფლებამოსილებებს და აქტიურად არიან ჩართულნი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრის საქმეში.

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კანონმდებლობით მიხედვით, კორუფციის და მათ შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტებად გვევლინებიან როგორც უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების თანამდებობის პირები და სამთავრობო მოსამსახურეები, ასევე ნებისმიერი ფედერალური თანამდებობის პირი და მოსამსახურე.[85] შესაბამისად, აშშ-ს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ გამორიცხავს კერძო სექტორში დასაქმებული პირის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენის შესაძლებლობას.

„ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება განვითარებად ქვყნებშიც. მათ რიგებშია საქართველოც, სადაც აქტიური სამართლებრივი პოლიტიკა ტარდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის მიზნით.

[85] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 58-59

თავი IV

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ძირითადი ტენდენციები

4.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ფაზები

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების), როგორც დამოუკიდებელი, მეტად მაშტაბური და შემოსავლიანი ბიზნესის სწრაფი ტემპით განვითარება, ნაწილობრივ, განაპირობა განვითარებული ქვეყნების სამართლებრივმა სისტემებმა და საქმიანმა ტრადიციებმა, რომლებიც შეიცავდნენ უკანონო შემოსავლის გამოყენების რისკს და შესაძლებლობას. სწორდ, ლეგალიზაციის მოთხოვნის უზარმაზარმა მასშტაბმა მოახდინა გათეთრების სქემების შექმნის სტიმულირება.[86]

ცალკეულ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებებში, მათ შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დროს, ლიდერები დეტალურად გეგმავენ კრიმინალური „ოპერაციების“ ჩატარებას, იყენებენ რა ამისთვის მობილურ ტრანსპორტს, კომპიუტერულ საშუალებებს, კორუმპირებულ კავშირებს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირებთან. ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებათა ასეთი სახეობა უნდა მიეკუთვნოს ტანამონაწილეობის განსაკუთრებულ ფორმას - დანაშაულებრივ გაერთიანებას.[87]

ფულის გათეთრების ტექნოლიგიები მეტად მრავალფეროვანია. თუმცა, მიუხედავად ლეგალიზაციის მექანიზმებისა და სქემების მრავალფეროვნებისა, მათ საფუძველში პრაქტიკულად ერთი ტექნოლოგია დევს. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავემ ნაღდ და უნაღდო ფორმით ფორმით არსებული

---

[86] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 24

[87] იხ. ალექსანდრე მუჯირი - კორუფცია და სახელმწიფო ხელისუფლება. თბილისი, 2002 წელი. გვ. 62

არალეგალური შემოსავალი გადააქციოს ლეგალურად და არ გამოიწვიოს ეჭვი აქტივების წარმოშობის წყარომ.[88]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების დროს, ტექნოლოგიურ ოპერაციას, როდესაც პირველად ხდება უკანონო აქტივების „ჩადება“ - ეწოდება **„განთავსება“ (placement)**. ამ ფაზის დროს, მნიშვნელოვანი ფაქტორი ანონიმურობაა, რაც ძალიან სახიფათოს ხდის „განთავსების“ ფაზას. აღნიშნული წარმოადგენს ფულის გათეთრების პირველად ფაზას, რომლის დროსაც, შესაძლებელია გამოვლინდეს ბევრი დოკუმენტური კვალი და ამას მივყავართ დანაშაულებრივ დაჯგუფებამდე. ვინაიდან, პირველად ფაზაში დამნაშავეთა გამოვლენის ალბათობა მაღალია, სასურველია ქმედება რაც შეიძლება მალე გადავიდეს მეორე ფაზაში, რომელსაც **„დიფერენცირება (დაყოფა)“ (layering)** ეწოდება.[89] ეს ტერმინი აღნიშნავს არალეგალური აქტივების დანაწევრებას და იმავე ფორმის ლეგალურ აქტივებთან შერევას (შერწყმას). ზოგჯერ, სიტყვა დიფერენცირებას ცვლიან ტერმინი „შენიღბვა“-თი, რადგან ამ ფაზაში ხდება უკანონო შემოსავლის მოწყვეტა მათი წარმოშობის წყაროსგან ფინანსური ოპერაციების რთული ჯაჭვის გზით.

იმ შემთხვაში, თუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი გადალახავს მეორე ფაზას, გადადის უკანასკნელ ეტაპზე, როდესაც დამკვეთმა უნდა მიიღოს თავისი სრულიად უკანონო შემოსავალი სავსებით „ლეგალური“ აქტივების ფორმით. აღნიშნული აქტივები თითქმის ყოველთვის იყოფა პატარა პარტიებად და თითოეული ნაწილი თავის „ფინანსურ“ გზაზე მიდის, რაც უკვე მზადაა გამოყენებისთვის. მესამე და უკანასკნელი ფაზა **„ინტეგრაციის“ (integration)** სახელწოდებით არის ცნობილი. მოცემულ ფაზაში არალეგალური შემოსავლები ყველაზე ხშირად იდება მსოფლიო საბანკო სისტემაში კეთილსინდისიერად ნაშოვნი სახსრების სახით. იმ შემთხვევაში, თი პირველ ორ ეტპზე (ფაზაში) გასათეთრებელი

---

[88] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 24-25
[89] იხ. იქვე. - გვ. 25

შემოსავლის კვალი არ გამოვლინდა, შემდგომ ეტაპზე ამის აღმოჩენა ძალზედ რთულია.[90]

იურიდიულ დოქტრინაში, ფულის გათეთრების ჩადენის ფორმის მიხედვით, განასხვავებენ პასიურ და აქტიურ კორუფციას, კერძოდ: აქტიური კორუფცია ყველა იმ პირის განზრახ ქმედებას გულისხმობს, რომელიც თანამდებობის პირს ჰპირდება ან აძლევს დივიდენდს იმავე მიზნებით.[91] რაც შეეხება პასიურ კორუფციას, გამოხატულებას პოულობს თანამდებობის პირის ისეთ განზრახ ქმედებაში, როდესაც იგი პირადად ან შუამავლის მეშვეობით ითხოვს ან ირებს ამა თუ იმ ქონებრივ თუ უფლებრივ დივიდენდს იმისთვის, რომ შეასრულოს ან არ შეასრულოს თავისი მოვალეობა.[92]

ზემოთ აღნიშნული გათეთრების ბაზისური ტექნოლოგიების სამფაზიანი მოდელი, ამჟამად ყველაზე გავრცელებულია, თუმცა გაეროს ექსპერტთა შეფასებით ფულის გათეთრების ოთხფაზიანი სისტემა არსებობს. სამფაზიანისგან ის იმით განსხვავდება, რომ განთავსების სტადია იყოფა ორ ნაწილად. პირველი - ნაღდი ფულისგან გათავისუფლება და მათი გადარიცხვა ფიქტიური პირების ანგარიშზე. ასეთი პირები, შეიძლება იყვნენ დამნაშავის ნათესავები და ახლობლები. გარდა ამისა, დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობა: ფაქტიურ პირებს ბანკში უნდა ჰქონდეთ საკუთარი ანგარიშები.

რაც შეეხება მეორე სტადიას, არის ფულადი სახსრების განთავსება, რომელიც ფაქტიურად ემთხვევა სამფაზიან მოდელში განხილულ პირველად განთავსებას.[93]

---

[90] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 26

[91] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი , წიგნი II - მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. გვენეტაძე და სხვ. რედ. გ. მამულაშვილი. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი, 2009 წელი. გვ. 146

[92] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 28

[93] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 26-27

საკმაოდ საინტერესოა ფულის გათეთრების შვეიცარიელი მკვლევარის - პაოლო ბერნასკონის მიერ შემოთავაზებული ორფაზიანი მოდელი, რომელშიც განასხვავებენ უშუალოდ ფულის გათეთრების ფაზას (money laundering) და ბრუნვაში დაბრუნებას (recycling). აღნიშნული მოდელის მიხედვით, ფულის გათეთრების ფაზაში შედის სამფაზიანი მოდელის პირველი ორი ფაზა, ხოლო „ბრუნვაში დაბრუნების" ფაზა პრაქტიკულად ემთხვევა „ინტეგრაციის" ფაზას.[94]

აშკარაა, რომ ლეგალიზაციის ფაზების აღწერებში პრინციპული განსხვავებები არ არის. ლეგალიზაციის სქემები მეტად მრავალფეროვანია. რა თქმა უნდა, ფულის გათეთრების სქემებს ახასიათებს გარკვეული ნაციონალური თავისებურებები, თუმცა მათი ტიპების დადგენისას ამის გათვალისწინება არ ხდება, , ვინაიდან ექსპერტების აზრით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული ყველა გარიგების 80 % ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს, რომელსაც ქვემოთ განვიხილავ.

4.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) მექანიზმები

კორუფციული დანაშაულის საზოგადოებრივ-სოციალური და ეკონომიკური მნშვნელობით გაგებისთვის, არსებობს განზოგადებული განმარტების შემდეგი რედაქცია:

„კორუფცია (მათ შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) - ეს არის ანტისოციალური საზოგადოებრივად საშიში მოვლენა, რომელიც ხელყოფს ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებს და წარმოადგენს დანაშაულთა სისტემურ ერთობლიობას, ჩადენილი საჯარო თანამდებობის პირებისა და მათი

[94] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 27

თანამონაწილეების მიერ საკუთარი თანამდებობრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის, მათ ხელში არსებული თანამდებობრივი და სამსახურებრივი უფლებამოსილებების გამოყენებით მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმწიფოს, სახელმწიფო სამსახურის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, კომერციული და სხვა ორგანოების ინტერესების საზიანოდ პირადი გამდიდრების ან სხვა პირადი, ჯგუფური თუ კორპორაციული მიზნებისთვის."[95]

როგორც ვხედავთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია რთული სამართლებრივი პროცესია, რომელიც მოიცავს არაერთ ოპერაციას, განხორციელებულს სხვადასხვა მეთოდით.ეს მეთოდები მუდმივად განიცდის სრულყოფას. დღეისათვის ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ოპერაციები საერთაშორისო ხასიათს ატარებს. დამნაშავეები საერთაშორისო დონეზე მოქმედებენ არა მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაიპყრონ დიდი მასშტაბის ბაზრები, არამედ იმის გამოც, რომ ასეთ შემთხვევაში მათი ქმედებების გამოვლენის რისკი ნაკლებია.

ფულის გათეთრების ხერხები მეტად მრავალფეროვანია. ლეგალიზაციის კლასიკური სქემები ხორციელდება ნაღდი ფულადი ოპერაციებით, საბანკო და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მომსახურების ბოროტად გამოყენებით, ძვირადღირებულ უძრავ და მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციებით, აზარტული თამაშებით.[96] ასევე, აქტიურად გამოიყენება ბუღალტრული, საბანკო, საბროკერო ან სხვა სახის ანგარიშგების დამახინჯების მეთოდი. ამ დროს ანგარიშგების დოკუმენტებში ხდება განზრახ არასწორი ინფორმაციის შეტანა.

ფულის გასათეთრებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ადგილობრივი (რეზიდენტი), ასევე საზღვარგარეთული (არარეზიდენტი) იურიდიული და

---

[95] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 17

[96] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 28

ფიზიკური პირები. მათ შორის, შესაძლებელია ქვეყნის შიგნით თეთრდებოდეს უცხოური კაპიტალიც.[97]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საერთაშორისო ხასიათის, თანამედროვე მასშტაბებისა და იმის გათვალისწინებით, თუ რა საფრთხეს უქმნის ეს მოვლენა საერთაშორისო უსაფრთხოებას, საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ფულის გათეთრების ტიპოლოგიური ხერხების კვლევას, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული.

4.2.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) მსოფლიო საბანკო და არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებში

მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ბანკებს ცენტრალური ადგილი უკავიათ. თუ დანაშაულის განმახორციელებლები ახერხებენ, ბანკის ნაწილზე განახორციელონ კონტროლი, მათ ფაქტობრივად ეძლევათ შეუზღუდავი შესაძლებლობები ფულის გასათეთრებლად. აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ მეტად თვალსაჩინო გახდეს მსოფლიო საბანკო სისტემასთან დაკავშირებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მექანიზმები, აუცილებელია ზოგადად მიმოვიხილოთ მისი მოწყობის სახე.

ბანკების გლობალური ქსელის კვანძის მოვალეობას ასრულებენ მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკები, რომლებსაც აქვთ მეტად ფართო ქსელი ფილიალებისა და შვილობილი ბანკების სახით მთელ მსოფლიოში. ამ კომპლექსს მიეკუთვნება დაახლოებით 600 ბანკი.[98]

---

[97] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 29
[98] იხ. იქვე - გვ.30

შემდეგი დონეა ეროვნული (ადგილობრივი) ბანკები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე საქმიანობენ. საშუალო და მცირე რეგიონული, დარგობრივი და სპეციალიზებული ბანკები საქმიანობენ თავისი რეგიონის ან ჩარჩოების ფარგლებში. მათ, როგორც წესი, უცხოურ ბანკებთან აქვთ ფართო საკორესპონდენტო ურთიერთობების ქსელი და მათი დახმარებით მონაწილეობენ მსოფლიო სავალუტო ბაზარზე მიმდინარე პროცესებში.[99]

დღესდღეისობით ბანკთაშორისო ურთიერთობის ძირითადი ინფრასტრუქტურული ელემენტი არის SWIFT სისტემა (Society for world in the interbank Financial Telecomunications) ანუ საერთაშორისო ბანკთაშორისი ფინანსური კომუნიკაციების საზოგადოება, რომელიც არსებობს 1973 წლიდან და ახორციელებს ტექსტურ კავშირს 120-ზე მეტი ქვეყნის 6 ათასზე მეტ ფინანსურ ორგანიზაციას შორის თანამგზავრული სისტემების მეშვეობით.[100]

თანამედროვე მსოფლიოს საბანკო სისტემის ამგვარი მოწყობა უზრუნველყოფს სახსრების პრაქტიკულად მომენტალურ გადატანას პლანეტის ერთი წერტილიდან მეორეში. ეს და სხვა მსგავსი სისტემები დამნაშავეებისთვის საკმარისია, გაარღვიონ ცალკეული წინააღმდეგობები - მსოფლიო სისტემაში არსებული თუნდაც ერთ ბანკთან „დაალაგონ ურთიერთობები“ და ეს უკვე საკმარისია „შავი“ ფულის შეუქცევადი ნაკადის გასათეთრებლად.

იურიდიულ ლიტერატურაში, მსოფლიო საბანკო სისტემის ფარგლებში, არსებობს ფულის გათეთრების შემდეგი სახის ხერხები:[101]

- ***ყალბი დოკუმენტების გამოყენება საბანკო ანგარიშების გასახსნელად*** *- ასეთ დროს, შესაძლებელია არარსებული სახელმწიფოების ყალბი დოკუმენტების შეძენა (მაგალითად: სსრკ-ის, იუგოსლავიის, ბირმის, ბრიტანეთის და სხვ.*

[99] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 31
[100] იხ. იქვე - გვ. 32
[101] იხ. იქვე - გვ. 35

პასპორტით), რომლითაც დამნაშავე შეიძლება შეეცადოს საბანკო ანგარიშის გახსნას ქვეყნის ძირითადი ფინანსური ცენტრებიდან მოშრებით. ასევე, შესაძლებელია მოპარული ან დაკარგული პასპორტებით ან/და გაყალბებული მინდობილობებით საბანკო ანგარიშების გახსნა. ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია მოქალაქეობის გაყიდვა, რაც გულისხმობს იმას, რომ გამოგონილ პირზე გაიცემა სრულიად ლეგალური პასპორტი და ა.შ.

- ***ლეგალიზაცია ბანკის შეძენით*** *- ბერტოლდ ბრეხტის თქმით, „თუ გსურს ძარცვა - იყიდე ბანკი!“ ეს თანამედროვე გაგებით იგივეა რაც „თუ გსურს გაათეთროთ ნაძარცვი - იყიდეთ ბანკი!“*
- ***შენატანების დანაწევრების ტექნოლოგია*** *- ასეთ შემთხვევაში დამნაშავეები, ძირითადად აშშ-ში, შტატების სხვადასხვა ტერიტორიაზე ყიდულობენ ფულად დავალებებსა და ჩეკებს ისე, რომ არც ერთი მათგანის თანხა არ ექვემდებარებოდეს შესაბამისი ორგანოებისათვის ანგარიშგების ფორმის გაგზავნას.*
- ***საკანონმდებლო ხარვეზების გამოყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით*** *- აღნიშნული მეთოდით დამნაშავეები იყენებენ იმ რეგულაციებს, რაც კონკრეტულ ქვეყნებში კანონმდებლობით არის განსაზღვრული და რომელთა მიხედვით, ბანკებს უფლება აქვთ, არ შეავსონ ანგარიშგების სპეციალური ფორმები ნაღდი ფულით განხორციელებულ ოპერაციებზე და ა.შ.*[102]

რაც შეეხება ფულის გათეთრებას არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებში, საკმაოდ საინტერესო და მრავალმხრივია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს რომ არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებში იგულისხმება სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო და სხვა ფონდები. ისინი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის

[102] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 34-38

იყენებენ სხვადასხვა ფინანსურ მახინაციებს. მათგან აღსანიშნავია შემდეგი სახის სქემები:

- ***ფულის გათეთრება ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, ანგარიშსწორების ცენტრებისა და არაოფიციალური ფულადი გადარიცხვის სისტემების გამოყენებით*** *- ამ სისტემებმა სხვადასხვა სახელწოდებები მიიღო: havala (მუსულმანურ სამყაროში), hundi (პაკისტანში), fei – chein (ჩინეთში) და სხვა. ამ სისტემების ძირითადი მამოძრავებელი ძალა არალეგალური ანგარიშსწორების ცენტრებია, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი კრიმინალურ სტრუქტურებთან და ტერორისტულ დაჯგუფებებთან.*[103]
- ***ფულის გათეთრება სადაზღვევო მექანიზმების მეშვეობით*** *- სადაზღვევო აგენტები და ბროკერები, დღესდღეისობით რეალიზაციას უწევენ სხვადასხვა სახის ფინანსურ პროდუქტებს. უკანონო შემოსავლების მეპატრონე სადაზღვევო სააგენტოსთან დებს გარიგებას, რომელიც ითვალისწინებსგადახდის გარკვეული შემთხვევის დადგომას. მას შეაქვს თანხები ნახდი სახით, მარამ ბანკი, რომელიც იცნობს სადაზღვევო კომპანიას, არ ამოწმებს სახსრების წარმოშობის წყაროს. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ უკვე გათეთრებული ფული ბრუნდება კლიენტის ანგარიშზე.*[104]
- ***ფულის გათეთრების სქემები დაკავშირებული ბირჟებთან და საფონდო ბაზართან*** *- საფონდო ბაზარს უზარმაზარი მოცულობა და ბრუნვები აქვს, ფულის გათეთრების თვალსაზრისით კი ბაზრის ეს თვისებები საუკეთესო ნიღაბია არალეგალური ოპერაციებისთვის. ბროკერები ხშირად ღებულობენ ნაღდ სახსრებს, იმის მიუხედავად, რომ ამით არღვევენ ქვეყანაში მიღებულ*

---

[103] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 40-41

[104] იხ. იქვე - გვ. 44

წესს, აღნიშნულის გამამართლებელ გარემოდ კი მიუთითებენ კლიენტისაგან თანხმობას გარიგების დადების თაობაზე „უკანასკნელ მომენტში.“[105]

- ***ფულის გათეთრება არაკომერციული და საქველმოქმედო ორგანიზაციების მეშვეობით*** *- საქველმოქმედო და სხვა კომერციული ორგანიზაციები მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი მძლავრი სექტორია. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომისია თავის ბოლო ორ ანგარიშში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის იმ მექანიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია არაკომერციულ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან.*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების მრავალნაირი მექანიზმი არსებობს, როგორც საბანკო, ისე არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებში. სწორედ ეს მექანიზმები განაპირობებენ ამ დანაშაულის საშიშროების ხარისხს.

4.2.2 კორუმპირებული პირების როლი ფულის გათეთრების სქემებში

რაც უფრო დიდი და მოცულობითია ძალაუფლება, მით უფრო მასშტაბურია მისი ბოროტად გამოყენებით გამოწვეული სახელმწიფოს დამაზიანებელი შედეგები. როგორც საზოგადოების, ასევე ნებისმიერი სახელმწიფოს ინტერესებში შედის მოხელეთათვის მინიჭებული უფლებამოსილების პირდაპირ პროპორციულადგაზარდოს მისი ბოროტად გამოყენების დამცავი მექანიზმები, რადგან კორუფციის შედეგებიდამანგრეველ გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებაზე.[106]

---

[105] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 46

[106] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 14-15

კორუფცია არა მხოლოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით მომსახურების მსხვილი მომხმარებელია, არამედ უმთავრესი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ფულის გათეთრებას. ძალიან ხშირად, დამნაშავეები ახდენენ მსხვილი კომპანიების მენეჯერების მოსყიდვას და მათ ჩართვას თავიანთ საქმიანობაში.

იმ ფულადი სახსრების წყარო, რომლებიც გავლენიან პოლიტიკურ პირს სურს გაათეთროს, შეიძლება იყოს ქრთამი, ასევე სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებულია კორუფციასთან - მითვისებული სახელმწიფო სახსრები,პოლიტიკური პარტიების სახსრები და ა.შ. გარკვეულ შემთხვევებში, გავლენიანი პირები შეიძლება ჩართულნი იყვნენ ორგანიზებული დანაშაულების ისეთ სახეებში, როგორებიცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი და სხვა.[107] გავლენიანი პოლიტიკური პირები ხშირად იყენებენ აგენტებს ან სხვა შუამავლებს თავიანთი ქსელით ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად. ამ გზით, პოლიტიკურად გავლენიანი პირი თავს არიდებს მაკონტროლებელი ორგანოების არასასურველ ყურადღებას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ სამართალში დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა თანამდებობის პირთა განუკითხველობა (მოურიდებლობა) მათ მიერ ჩადენილი ბოროტება უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე სხვა რიგითი მოქალაქეებისა.[108]ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ თანამდებობის პირი მისი სტატუსიდან გამომდინარე მაღალი პასუხისმგებლობიდან, ექვემდებარება უფრო მეტ კონტროლს, რომლის ერთ-ერთი ფორმასაც გამკაცრებული პასუხისმგებლობა წარმოადგენს.[109]

---

[107] იხ. სოფიო ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება). თბილისი, 2012 წელი, გვ. 59-60

[108] იხ. ქართული სამართლის ისტორია - ვ. მეტრეველი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2004 წელი, გვ. 277

[109] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 19

თავი V

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის გზები და მეთოდები

5.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის მექანიზმები სხვადასხვა ქვეყნებში

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას სერიოზული პრობლემების მოტანა შეუძლია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად ებრძვის სხვადასხვა ხერხებით და საშუალებებით. პირველი ოცეული ქვეყნებისა, რომლებიც წარმატებით ებრძვიან ამ ნეგატიურ მოვლენას, შემდეგნაირია: დანია, ფინეთი, ახალი ზელანდია, ისლანდია, სინგაპური, შვეცია, კანადა, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ნორვეგია, ავსტრალია, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო, ჰონკონგი, ავსტრია, ისრაელი, აშშ, ჩილე, ირლანდია, გერმანია, იაპონია.[110]უფრო მეტი თვალსაჩინეობისთვის, განვიხილოთ რამდენიმე მათგანის სამართლებრივი დამოკიდებულება ამ დანაშაულისადმი.

სინგაპურიში კორუფციასთან ბრძოლას აქვს პერმანენტული ხასიათი. ამას ადასტურებს კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზებული მუდმივმოქმედი ორგანოს არსებობა, როგორიცაა კორუფციის შემთხვევების გამოძიების ბიურო.[111] მას აქვს პოლიტიკური და ფუნქციური დამოუკიდებლობა. ბიურო დაფუძნდა 1952 წელს, რომელიც იძიებს და იღწვის კორუფციის აღსაკვეთად სინგაპურის ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორში. ბიურო პასუხისმგებელია სახელმწიფო

---

[110] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 50

[111] იხ. კორუფცია - სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი, რედ: გ. ღლონტი, თბილისი 2009 წელი, გვ. 34

სამსახურში სამართლიანობისა და მოუსყიდველობის პრინციპის დაცვაზე და კერძო სექტორში კორუფციისაგან თავისუფალი გარიგებების წახალისებაზე.

სინგაპურში კორუფციის რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა, თუმცა მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ყველა ეს შემთხვევა გამოიძიეს, ბრალდებულები გაასამართლეს და დასაჯეს.[112]

საინტერესოა იაპონიის მიდგომა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. მათი ანტიკორუფციული პოლიტიკის გამოცდილება საინტერესოა იმით, რომ ამ ქვეყანაში აპრობირებულია კორუფციის აცილების სხვადასხვა ხერხის ერთობლიობა. აღსანიშნავია ისიც, რომ იაპონიაში არ არსებობს კორუფციასთან ბრძოლისკენ მიმართული კომპლექსური სამართლებრივი აქტი. ასეთი ხასიათის ნორმები სხვადასხვა კანონებშია, მაგ: „საზოგადოებრივ თანამდებობის პირთა არჩევნების შესახებ“ (1950წ), „პარლამენტის შესახებ“ (1950 წ), პოლიტიკური ფონდების რეგულირების შესახებ“ (1948 წ) და სხვ.[113]

იაპონიის ანტიკორუფციული კანონმდებლობის ობიექტებს წარმოადგენენ ორი კატეგორიის პირები, რომლებსაც რეალური სახელისუფლებო ბერკეტები გააჩნიათ. პირველ კატეგორიას მიაკუთვნებენ პოლიტიკოსებს, ესენია - პარლამენტის დეპუტატები, ადმინისტრაციების მეთაურები (გუბერნატორები, ქალაქების მერები), ადგილობრივი საკრებულეობის დეპუტატები. მეორე კატეგორიაა - სამთავრობო და ადგილობრივი მოსამსახურეები.[114]

---

[112] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 64-65

[113] იხ. კორუფცია - სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი, რედ: გ. ღლონტი, თბილისი 2009 წელი, გვ. 42

[114] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 68

კანონი ჩინოვნიკს უკრძალავს მასზე დაკისრებული მოვალეობის შეთავსებას სხვა საქმიანობასთან, გარდა კანონით და სამთავრობო ბრძანებულებებით აღიარებული შემთხვევებისა, ხოლო შეთავსების დაშვების შემთხვევაში უკრძალავს მიიღო ფულადი ანაზღაურება დამატებითი სამუშაოსთვის.[115]

კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად და მთავარ მიმართულებას იაპონიაში საკადრო პოლიტიკა წარმოადგენს. თანამდებობაზე დანიშვნისა და მუშაკთა ინტერესების დაცვის სამართლიანი რეგულირება ეკისრება პერსონალურ საქმეთა საბჭოს, რომელიც მინისტრთა კაბინეტს ექვემდებარება, მაგრამ მისი ფორმირება პარლამენტის ორივე პალატის თანხმობით, მთავრობის ხელმძღვანელის მიერ ხდება.[116]

იაპონიის გამოცდილება აშკარად ადასტურებს მმართველობის დემოკრატიული სისტემის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში პოლიტიკოსთა და ჩინოვნიკთა შორის კორუფციის აღკვეთის მიღებული ზომების მნიშვნელობას. გარდა ამისა, გამოხატავს რეალურად მოქმედი კანონების შექმნის, სახალხო კონტროლის, მორალურ-ეთიკური ნორმების დარღვევებისადმი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების ფორმირების აუცილებლობას.[117]

გერმანიაში, კორუფციასთან ბრძოლის მიზნით გაატრესსაკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებები. 1997 წელს ძალაში შევიდა კანონი „კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“ და ერთდროულად შეიტანეს ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მიხედვითაც გაფართოვდა კორუფციული

---

[115] იხ. კორუფცია - სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი, რედ: გ. ღლონტი, თბილისი 2009 წელი, გვ. 44

[116] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 71

[117] იხ. კორუფცია - სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი, რედ: გ. ღლონტი, თბილისი 2009 წელი, გვ. 52

დანაშაულების ჩამონათვალი.[118] გარდა ამისა, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს ცვლილება და დაამატეს მუხლი კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში, რომელიც არეგულირებს ქრთამის მიცემისა და აღების საკითხებს.

კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებს შორის უნდა აღინიშნოს მაღალი სახელმწიფო თანამდებობიდან გათავისუფლებული პირების შრომითი მოწყობის წესი. დადგენილი ვადის განმავლობაში მათ უნდა მიიღონ მთავრობის ნებართვა კერძო სექტორში მუშაობაზე ან კომერციული საქმიანობის წარმოებაზე, თუ მანამდე შეხება ჰქონდათ აღნიშნულთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ქცევა შეიძლება განიხილონ როგორც კორუფციული.[119]

სახელმწიფო მოსამსახურეების მიმართ გაზრდილი მოთხოვნები და შეზღუდვები გერმანიაში კომპენსირდება სათანადო ანაზღაურებით, სამუშაო ადგილის სტაბილურობისა და სამსახურეობრივი წინსვლის უზრუნველმყოფელი გარანტიებით. ყოველივე ეს კი განაპირობებს გერმანიის ანტიკორუფციული სტრატეგიის ეფექტურობას.[120]

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართული სამართლის ძეგლებშიც გვხვდება მუხლები, რომლებიც კორუფციულ ქმედებათა ჩადენისთვის ითვალისწინებენ სასჯელს. ამ კუთხით, საინტერესოა ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი, ანუ „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“.[121] გარდა ამისა, ფეოდალური პერიოდის საქართველოს საერო და საეკლესიო ხასიათის ნორმატიული აქტებიც

---

[118] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 51

[119] იხ. იქვე - გვ. 52

[120] იხ. იქვე - გვ. 52-53

[121] იხ. დავით კუხალაშვილი, ილია ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში და მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები. თბილისი, 2013 წელი. გვ. 18-19

ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას კორუფციული ქმედებებისთვის, თუმცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რა თქმა უნდა, არ მოიაზრებოდა მასში.

5.2 სტატისტიკური მონაცემები და მათი ანალიზი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ორგანიზებული დანაშაულის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც კორუფციული გარიგეგებით სულდგმულობს სახელმწიფოში. მისი მთავარი ხელშემწყობი პირობაა სუსტი ეკონომიკური მდგომარეობა და მოხელეთა მიერ სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ვინაიდან, საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ნორმის სახით 2006 წლიდან არის კრიმინალიზებული, ეს ნიშნავს იმას რომ ამ პერიოდისთვის საქართველოს სახელმწიფოში მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი აღნიშნული დანაშაული. თუმცა, აუცილებელია მანამდე არსებული მდგომარეობის განხილვა მოცემულ ნაშრომში, რომელიც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა მონაცემების სახით.

კორუფციის შესახებ შედარებითი ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე სანდო და ავტორიტეტული რესურსია საერთაშორისო გამჭვირვალობის ორგანიზაციის ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ე.წ. კორუფციის ინდექსები (მაღალი ინდექსი უკეთესია). კერძოდ:

კორუფციის ზოგადი მდგომარეობა, სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში 2003-2010 წლებში.[122]

2003 წელი. საქართველო - 1.8; სომხეთი - 3; აზერბაიჯანი - 1.8; რუსეთი - 2.7.

[122] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 30

2005 წელი. საქართველო - 2.3; სომხეთი - 2.9; აზერბაიჯანი - 2.2; რუსეთი - 2.4.

2006 წელი. საქართველო - 3.4; სომხეთი - 3; აზერბაიჯანი - 2.1; რუსეთი - 2.3.

2008 წელი. საქართველო - 3.9; სომხეთი - 2.9; აზერბაიჯანი - 1.9; რუსეთი - 2.1.

2009 წელი. საქართველო - 4.1; სომხეთი - 2.7; აზერბაიჯანი - 2.3; რუსეთი - 2.2.

2010 წელი. საქართველო - 3.8; სომხეთი - 2.6; აზერბაიჯანი - 2.4; რუსეთი - 2.1.

როგორც ჩანს, საქართველომ უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში (2003-დან 2009 წლის ჩათვლით) შეძლო საკუთარი ინდექსი აემაღლებინა 1.8-დან 4.1-მდე.

საქართველოს სახელმწიფო ორგანოების სტატისტიკურ მონაცემებს 2002-2010 წლებში, შემდეგია:

შსს-ში რეგისტრირებული კორუფციული დანაშაულები 2002-2010 წლებში[123]

2002 წელი - 16658.

2003 წელი - 17397.

2004 წელი - 24856.

2007 წელი - 54746.

2008 წელი - 44644.

2009 წელი - 35949.

2010 წელი - 34739.

[123] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 32

საქართველოს შსს-ს მონაცემებით, რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობამ იმატა თითქმის 3-ჯერ, რაც შეეხება კორუფციულ დანაშაულს, მისი ყველა სახეობის მიხედვით შეინიშნება რაოდენობრივი მაჩვენებლის მატება საშუალოდ 2-ჯერ.[124]

საინტერესოა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი სტატისტიკა 2016-2017 წლებში, რომელიც გამოიყურება ასე:[125]

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ 2016 წელს

სულ რეგისტრირებული - 228

გახსნილი - 123

გახსნის % - 53.95 %

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ 2017 წელს

სულ რეგისტრირებული - 364

გახსნილი - 196

გახსნის % - 53.85 %

მიუხედავად მზარდი ტემპისა, თვალსაჩინოა რომ რეგისტრირებული დანაშაულების მომატების პარალელურად იზრდება გახსნილი დანაშაულების რაოდენობაც, რაც შსს - ს ეფექტურ მუშაობაზე მეტყველებს. სახელმწიფოს პრევენციული მიდგომის მეტად თვალსაჩინოებისთვის, გაგაცნობთ მომდევნო წლების სტატისტიკურ მონაცემებსაც. კერძოდ:

---

[124] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 33

[125] იხ. www.police.ge ბოლო ნახვა- 17/06/2019 წელი

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ 2018 წელს[126]

სულ რეგისტრირებული - 329

გახსნილი - 174

გახსნის % - 52.89 %

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო აქტიურად იბრძვის კომერციული დანაშაულების წინააღმდეგ. აქვე აღსანიშნავია, რომ კორუფციული დანაშაულობის სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა ყოველთვის გამოირჩევა ლატენტობის მაღალი დონით და არ ასახავს მოცემულ მოვლენასთან ბრძოლის რეალურ სიტუაციას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მაღალი თანამდებობის პირებისა და ბიზნესმენების გახმაურებული კორუფციული სქემები საერთოდ არ ასახულა სასამართლო სტატისტიკაში, იმდენად რამდენადაც, ისინი შეწყდა ან შეჩერდა მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა პირებმა აღიარეს დანაშაული და ქვეყნის ბიუჯეტში შეიტანეს პროკურორებთან შეთანხმებული ოდენობის თანხა.[127] აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ მხოლოდ ზემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემების მეშვეობით, შეუძლებელია სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი მდგომარეობის სიღრმისეულად გაანალიზება, რადგან აუცილებელია უფრო მეტად აქტიური და თანამედროვე სამართლებრივი მეთოდების გამოყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

---

[126] იხ. www.police.ge ბოლო ნახვა - 17/06/2019 წელი

[127] იხ. კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 წელი. გვ. 34

დასკვნა

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) ორგანიზებული დანაშაულის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის 1999 წლის კოდექსში გათვალისწინებულია XXVI თავში - დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ 194_ე მუხლის სახით. მისი გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია და აქედან გამომდინარე, ტრანსნაციონალური ხასიათისაა. ნაშრომის სამართლებრივი მნიშვნელობაც, სწორედ მოცემული დანაშაულის საშიშროების ხარისხიდან გამომდინარეობს.

„ფულის გათეთრების“ კრიმინალიზაცია განპირობებული იყო საქართველოში არსებული სამართლებრივი მდგომარეობის სისუსტით, რომელიც, თავისთავად, ქვეყნის არასტაბილური და სუსტი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მოხდა. მაშინ, როდესაც დღითი დღე იზრდებოდა კორუმპირებული პირების რაოდენობა სახელმწიფოში, მხოლოდ არსებული სამართლებრივი ნორმების საშუალებით ვერ ხერხდებოდა მათ წინააღმდეგ შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. აღნიშნულ დანაშაულს, გარდა გავრცელების არეალისა, სიმძაფრეს თანამდებობის პირების მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა მატებდა. მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, მიუხედავად იმისა, ასრულებდა ეს პირი საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას თუ არა, აქტიურად იყო ჩართული კორუფციულ გარიგებებში. ყველაზე ხელსაყრელი და ეფექტური საშუალებები მათთვის, სხვადასხვა ქვეყნის საბანკო და არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებში განხორციელებული ტრანზაქციებით ვლინდებოდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სახელმწიფომ აიღო პოზიტიური ვალდებულება და სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ განსაზღვრა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), როგორც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი გამოვლინება. მოხდა, ასევე, ამ ქმედების შედეგად მოპოვებული ქონებით სარგებლობის, ფლობის, შეძენის ან გასაღების კრიმინალიზაცია და განისაზღვრა

გარკვეული სახის სასჯელები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებამ, საქართველოში კრიმინოლოგიური მდგომარეობა რადიკალურად ვერ შეცვალა, რადგან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში რეალიზებული არ იყო იდეა კომპლექსური მიდგომის შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლადაა მოყვანილი ის ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება „ფულის გთეთრების“ წინააღმდეგ საბრძოლველად საერთაშორისო დონეზე. მათი გარკვეული ნაწილი გაზიარებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ, თუმცა ეს არ არის საკმარისი და სრულად ეფექტური უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციისთვის. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე შემესწავლა ამ დანაშაულის წარმოშობის ისტორია, იურიდიული ბუნება, მისი განხორციელების გზები და მეთოდები, მასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა და მივედი დასკვნამდე, რომ ძალიან რთულია მასთან ჭიდილი ისეთ უთანასწორო ბრძოლაში, რომელშიც, ერთ მხარეს, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი, სუსტი ეკონომიკის მქონე, არშემდგარი საქართველოს სახელმწიფო დგას, ხოლო მეორე მხარეს, უზარმაზარი ფინანსური დანაშაულებრივი სქემა და ამ სქემით „შეიარაღებული“ გამდიდრების მოსურნე ელიტა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მხრიდან აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და მათ ანგარიშებში ჩამოყალიბებული შეფასებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ყველანაირი გამოვლინება.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. ა. მუჯირი - კორუფცია და სახელმწიფო ხელისუფლება, თბილისი, 2002 წელი.
2. ა. შეყლაშვილი - კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2018 წელი.
3. ავტორთა კოლექტივი - კორუფცია საქართველოში (კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2011 წელი.
4. ბ. ნურგალიევი - ორგანიზებული დანაშაულებრივი მოღვაწეობა, რუსეთი, ყარაგანდა, 1997 წელი.
5. გ. ღლონტი (რედ.) - კორუფცია (სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი), თბილისი, 2009 წელი.
6. გ.ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქველიძე, ი.დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი, 2012 წელი.
7. დ. კუხალაშვილი, ი. ბაბუხადია - კორუფცია საქართველოში (მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები), თბილისი, 2013 წელი.
8. ვ. მეტრეველი - ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004 წელი.

9. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. გვენეტაძე და სხვ. - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2009 წელი.
10. მ. ლეკვეიშვილი, ნ.თოდუა, გ. მამულაშვილი - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი.
11. ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია-ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი.
12. ქ. როსტიაშვილი - პოლიტიკური კორუფცია მსოფლიოს კონტინენტებზე, ლექციათა მოკლე კურსი, სარედაქციო კოლეგია გ. ალასანია და სხვ. გამომცემლობა „შპს პოლიგრაფი“, თბილისი, 2007 წელი.

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Alexander K. The Legalization of the International Anti-money Laundering Regime: The Role of the Financial Action Task Force. (2000). Centre for Business Research. https://www.cbr.cam.ac.uk/fileadmin/user_upload/centre-for-business-research/downloads/working-papers/wp177.pdf ბოლოს ნანახია: 15/04/2019 წელი
2. Beare M. Money Laundering in Canada: Chasing Dirty and Dangerous Dollars.(2007). University of Toronto Press. https://utorontopress.com/us/money-laundering-in-canada-4 ბოლოს ნანახია: 15/04/2019 წელი
3. Gallant M. Money Laundering and the Proceeds of Crime: Economic Crime and Civil Remedies. (2005), Cheltenham, UK: Edward Elgar. https://www.e-elgar.com/shop/eep/preview/book/isbn/9781781958094/ ბოლოს ნანახია: 16/04/2019 წელი
4. Александр Афанасьев – Коррупциа в СССР. http://werewolf-0001. Livejournal.com
5. Алексей ТЕПЛЯКОВО – Коррупции в органах НКГБ-МГБ СССР 1940-1950 х. Гг. 2009. www.epochtimes.ru
6. Воголеев Г.С. - корупциа. Хроника событий. С.пб. 2005.
7. Волженкин Б.В.- Коррупциа. СПБ. 1998.

8. Кернер Х.Х. Дах. Э. Отмывание денег. М. 1996, с58-63. Волженкин Б.В. Преступления в сфере Экономической деятелносты. Спб. 2002

სტატიები და ჟურნალები

1. ა. კვაშილავა - პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის, სტატია, ჟურნალი „სამართალი“, N 12 გამოცემა, 2001 წელი.
2. დ. გაგუა - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინოლოგიური კვლევის ზოგიერთი საკითხი, სტატია, ჟურნალი „სამართალი“, N10 გამოცემა, 2000 წელი.
3. დ. მესხიშვილი - ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა იტალიაში, სტატია, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 2.
4. ე. გურგენიძე - პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, სტატია, ჟურნალი „სამართალი“, N 12 გამოცემა, 2001 წელი.

დისერტაციები

1. გ. შაშიაშვილი - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა, ხელმძღვანელი გ. თოდრია, სამართლის დოქტორი, პროფესორი, 2015 წლის 30 იანვარი.

ქართული საკანონმდებლო ბაზა

1. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი-კონსოლიდირებული ვერსია, 1999 წელი.
2. საქართველოს კანონი საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ - კონსოლიდირებული ვერსია, 1997 წელი.
3. საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2003 წელი.

საერთაშორისო აქტები

1. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია, ვარშავა, 2005 წელი.
2. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია, პალერმო, 15/11/2000 წელი.
3. ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია, სტრასბურგი, 1990 წელი.

ინტერნეტ რესურსები

1. www.police.ge
2. www.unodc.org
3. www.coe.int.ge